სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი 11 სექტემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 9 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] ხოლ უნდა გამოგზავნონ: [illegible] ящ. 199. Редакция „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 194 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 194

უბედური დედ მამა ნიკოლოზ ლუარსაბის ძე და ბარბარე გრიგოლის ასული თუშაბრამაშვილები, ძმა ზაქარია ნიკოლოზის ძე და ძმის-ცოლი მარგალიტა ანტონის ასული თუშაბრამაშვილები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ 8 ამა ენკენისთვეს მათ უეცრათ გარდაეცვალათ უსაყვარელესი მეშვიდე ქართულ მსროლელი პოლკის პაწია აფიცერი პორუჩიკი

## ლუარსაბ (ლუა) ნიკოლოზის ძე თუშაბრამაშვილი.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე საკუთარ ბინაზე მეორე თუმანოვის ქუჩა № 11. გამოსვენება ხუთშაბათს ბინიდან 12 ენკენისთვეს დილის 10 საათზე (ახალი დროით) ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში და დაკრძალვა კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (2—2)

ღრმათ დამწუხრებული ტრიფონ სალაია აუწყებს ამხანაგებს საყვარელი მეუღლის

## ძაძუ მიშოს ასულის სალაიას

ბორჯომის საავათმყოფოში გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება ქუთაისში, რომელიც ცალკე იქნება გამოცხადებული.

ღრმათ დამწუხრებულნი დედ-მამა დავით ნინიას ძე და მარიამ გაბრიელის ასული გრატიაშვილები, ძმები ნიკოლოზ, ვახტანგ, ირაკლი, დები თამარა და ნინა გრატიაშვილები, დიდედა ნინო მამადალაშვილი, დეიდა ლოცულაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 9 სექტემბერს მათ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაეცვალათ უსაყვარლესი ჯარისკაცი მწერალი ქართველ უნტერაფიცრის სკოლისა

## ვანიჩკა (ივანე) დავითის ძე გრატიაშვილი.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე (ახალი დროით) საკუთარ ბინაზე, სუნჟენის ქუჩა, № 13, 11 კომისარიატი. გამოსვენება და დაკრძალვა ხუთშაბათს, ბინიდან 12 ენკენისთვეს, დილის 10 საათზე.

ღრმათ დამწუხრებულნი მე-8 კომისარიატის მსახურნი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ ძვირფას და დაუვიწყარ ამხანაგის უფროს მილიციონერას პორუჩიკ

## ლუარსაბ (ლუკა) ნიკოლოზის ძე თუშაბრამიშვილის

უდროოთ დაკარგვას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, თავის ბინაზე (2 თუმანოვის ქუჩა, № 11). დაკრძალვა ხუთშაბათს, 12 ენკენისთვეს, დილის 10 საათზე, ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დასაფლავება წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2—1)

ღრმათ დამწუხრებულნი და უდროოთ გაუბედურებული ლუარსაბ ივანეს ძე და შვილი მისი ვანო, ელპიტი, ყირიმი და ფეოდოსი (ბუბუნია), ტასო, გრიშა, კოლია და მიტუშა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავათმყოფობით გარდაცვალებას უძვირფასეს და დაუვიწყარ პირველი მეუღლის, მეორე დედის, მესამე რძლის, მეოთხენი შვილის, მეხუთე დის, დანარჩენები დეიდის

## მარიამ (მაშო) ყირიმის ასული სამსონაძისა.

გამოსვენება 11 ენკენისთვეს (ახ. სტ.) დილით, ოთხშაბათს, საღამოს ექვს საათზე, მთაწმინდა, ტარიელოვის ქუჩა, № 12, სადაც წაასვენებენ ქ. ლანჩხუთში.

## კვლავ რუსეთის შესახებ

რუსეთის გაერთიანებაზე ბევრს ლაპარაკობენ. განსაკუთრებით სოციალისტ-რევოლიუციონერებს ძველი რუსეთის აღდგენა მიზნათ დაუსახავთ და უნდათ იგი კვლავ გაფართოვებულ ტერიტორიებით აღადგინონ.

შესაძლებელია სურვილი ერთობ სიმპატიური და მიზან შეწონილი იყოს, მაგრამ რუსეთის ძველი ადგილებით აღდგენა, ჩვენის აზრით, შეუძლებელი და მოუხერხებელი საქმეა.

რუსეთის დაშლა-დანაწილება რთული მიზეზებით არის გამოწვეული, იგი საერთაშორისო ძალთა განწყობილების შედეგია და მისი წარა-მარათ შეცვლა კერძო პირების თუ პოლიტიკური პარტიების სურვილების თანახმად არ მოხდება. ღრმა ეკონომიური და სოციალური ურთიერთობა უფრო ძლიერია, ვიდრე პარტიულ ცენტრალურ კომიტეტებში გამომუშავებული რეცეპტები.

ამა თუ იმ ერის თუ კუთხის ამა თუ იმ სახელმწიფოსთან დაკავშირება წარმოების ურთიერთობაზეა აშენებული და შრომის და ნაწარმოების განაწილება ქვა კუთხედია, ვინემ ესა თუ ის სახელმწიფოებრივი ფორმა. ისტორიული მსვლელობა ვაჭრობა-მრეწველობით ერთ კუთხეს მეორესთან აკავშირებს და მათ შორის დამოკიდებულება ცხოველდება, მაგრამ ხშირად არის, რომ ესა თუ ის კუთხე ეკონომიურათ ამა თუ იმ სახელმწიფოსთან არის გადაბმული, ხოლო პოლიტიკურათ კი მეორესთან. ეს ხშირად ხდებოდა ძველ იმპერიალისტურ სახელმწიფოებში, რომელთა ტერიტორიებისა და ადგილების გაფართოება პოლიტიკურ ნიადაგზე ხდებოდა და არა ეკონომიურზე. ამ მხრივ რუსეთის ძველი სახელმწიფო საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა. მას ჰქონდა დიდძალი ტერიტორიები, რომელთა შორის შრომის განაწილება და საქონლის გაცვლა-გამოცვლა მეტრაპოლიასთან ისეთ ცხოველმყოფელი არ იყო, როგორც გარეშე ქვეყნებთან. რუსეთის საწარმოვო ძალთა განვითარება იმ დონეზე არ იყო, რომ მას შესძლებოდა თავის ტერიტორიები, განსაკუთრებით კი, განაპირა კუთხეების საქონლის მოთხოვნილება დაეკმაყოფილებია და იქ არსებული მშრალი მასალა თავის ინდუსტრიისთვის გამოუყენებია.

ძველი რუსეთი უმთავრესათ აგრარიული სახელმწიფო იყო და მას არ ქონდა იმდენი კაპიტალი, არ ქონია საწარმოვო ძალთა განვითარება იმ დონეზე დაყენებული, რომ აუარებელი კუთხეები, მიწად-მოქმედების მხარეები გადაეჯაჭვა. მას ქონდა მხოლოდ პოლიტიკური კავშირი და პოლიტიკური ფორმის მეოხებით ხელში იჭერდა აუარებელ ქვეყნებს.

მაგრამ მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. მსოფლიო ურთიერთობა ახალ ხანაში ჩადგა. ევროპა, ანუ სწორეთ რომ ვსთქვათ, განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოები თავიანთ ნაწარმოებით თავის ტერიტორიაში ველარ დაეტივნენ და ახალი ადგილებისა და ბაზრების შეძენა დაიწყეს. ამ ნიადაგზე წარმოიშვა თანამედროვე მსოფლიო ომი და თითეულმა იმპერიალისტურმა სახელმწიფომ იარაღით დაიწყო თავისი სამფლობელოების გაფართოვება.

რასაკვირველია, ასეთ მსოფლიო შეჯახების ხანაში სუსტი და განუვითარებელი სახელმწიფოები დაიშლებოდენ და მათ მრავალი ადგილები დაეკარგებოდათ. რუსეთიც ვერ ასცდა ისტორიის ასეთ კანონს და მას მრავალი ადგილები დაეკარგა, რუსეთის მრავალი კუთხეები განვითარებულ და გამარჯვებულ სახელმწიფოების გავლენის ქვეშ დადგა.

ამას ზედ დაერთო რუსეთის რევოლიუცია, რომელმაც მრავალ ერებს საშუალება მისცა ერთა თვითგამორკვევის პრინციპით ესარგებლათ და ახალი ორიენტაციები მიეღოთ, ომის და რევოლიუციის დროს—ამა თუ იმ კუთხის ბედი სხვაფრივ წყდება და ახალი გადაჯგუფება ხდება.

რუსეთმა რომ ძველი ტერიტორიები აღადგინოს, ძველი, გაფართოვებული, ან უნდა ქონდეს ძლიერი ეკონომიური ორგანიზაცია, საწარმოვო ძალთა განვითარება, ანდა მედგარი პოლიტიკური ძალა თავის ძლიერი მილიტარიზმით. მაგრამ რუსეთში ეს ორივე ფაქტორი მინიმუმამდის არის დაყვანილი და ერთიც და მეორეც ამ შემთხვევაში სრულ არარაობას წარმოადგენს. არმიის თუნდაც ძველ საფუძველზე აღდგენა ახლო ხანში შეუძლებელია და ყოველი პოლიტიკური პარტიის ძალას აღემატება. ამას დრო და ხანი უნდა, წარმოების პირობების გაუმჯობესება, დიდი ჯარი და საკუთარ ფეხზე დადგომა, მაგრამ სამოქალაქო ომი, რომელიც მთელ რუსეთს ღრღნის და რომელმაც მთლათ დაასუსტა, უფრო ძლიერდება და ქვეყნის ბედი თანდათან საბედისწერო ხდება.

აი ასეთ პირობებში სოციალისტური პარტიები და ძლიერი რუსეთის შექმნის იდეოლოგები სხვა და სხვა საშუალებით ცდილობენ დიდი რუსეთის აღდგენას. მათ ასეთ ოცნებას ერთგვარი მესიანიზმის ხასიათი მიეცა და სხვადასხვა საშუალებას ეძიებიან. პირობები ერთობ რთული და დამაბრკოლებელია. ამისათვის მათ რეალური პირობები და საერთო ძალთა განწყობილება ხელს არ უწყობს. ამიტომაც არის მათ მიზანს მტკიცე ნიადაგი გამოეცალა და ისინი ოცნების სფეროსაკენ მიექანებიან. ეძებენ ახალ ახალ საშუალებებს, იგონებენ ბრძოლის ახალ მეთოდებს, ახლა დამფუძნებელი კრების მოწვევის მეოხებით ჰგონიათ, რომ დანგრეულ რუსეთის გაერთიანება მოხდება, მაგრამ ამაოთ. დამფუძნებელი კრება თუ წინეთ ძლიერი შემაკავშირებელი ცემენტი იყო, ახლა იგი უვარგისი სუროგატია და მას არ შეუძლია რუსეთის გამთელება. იგი მესიათ ვერ გახდება და რუსეთს ძველი სიძლიერით ვერ აღადგენს.

შესაძლებელია რამდენიმე ათეულმა დეპუტატმა თავი მოიყაროს, რუსეთის რომელსამე ქალაქში, რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ძირითადი კანონები შეიმუშაონ, მაგრამ მას ცხოვრებაში გასავალი არ ექნება, ასეთი ფორმულები ვერ შესძლებს რუსეთის ეკონომიურად და პოლიტიკურად გაძლიერებას. დამფუძნებელი კრება „სალაყბო პარლამენტად" გადიქცევა და საერთაშორისო ურთიერთობა თავისას გაიტანს.

რუსეთს მტერი ყოველმხრივ მოადგა. მეგობარი და მტერი მის ტერიტორიებს იჭერს, ზოგიც საკუთარი სურვილით უკავშირდება. ამ მტრების მოსაგერიებლად რუსეთს არ შესწევს ძალა—არც ეკონომიური და არც ფიზიკური. მესიონიზმი რუსეთს ვერ იხსნის, მისი ძველ საზღვრებში აღდგენა უქმი ოცნებაა.

## მილიუკოვის ახალი ორიენტაცია

ოქტომბრის გადატრიალების პირველ დღეებიდანვე, რუსეთის ბურჟუაზიული პარტიები მიიმალენ, სადღაც გაქრენ, თითქოს ისინი არც კი არსებობდენ. ლენინ-ტროცკის დიქტატორული რისხვა რუსეთის მენშევიკებს და ესერებს ატყდებოდა, რომელნიც ქედს არ იხრიდენ და მედგარ ბრძოლას აწარმოებდენ ანარქისტულ მთავრობის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელ ხანებში, როდესაც რეაქციამ საკმაოთ მოიდგა ფეხი მასსაში, ამოტივტივდენ ბურჟუაზიული პარტიებიც. ალაპარაკდენ მონარქისტები, კადეტები და სხ. საკმაო ევოლიუციაც განიცადეს, ევოლიუცია, რასაკვირველია. მარჯვნით. აქ გასაკვირი არა არის რაკადეტთა პარტია საერთოდ მეტად ცვალებადია, მათი იდეიური და ტაქტიკური პროგრამა მუდამ ჟამ „დროთა მოთხოვნილებას ეგუებოდა". თუ „დროს მოთხოვნილება" უკარნახებდა—კადეტები რესპუბლიკანურ პროგრამით გამოდიოდენ—როგორც ეს რევოლიუციის პირველ დღეებში მოხდა. იცვალა „დროს მოთხოვნილება" რეაქციის სუნით საკმაოთ გაილეენთა ჰაერი და კადეტები ისევ მონარქისტულ პროგრამას უბრუნდებიან. ამ უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კადეტების ლიდერი მილიუკოვი, მით უმეტეს, რომ მისმა უკანასკნელმა გამოსვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თვით კადეტებზე. მის ევოლიუციას ვერ შერიგებია მისივე პარტია, ის პარტია, რომელიც, როგორც ზევით ვსთქვით „დროს მოთხოვნილების" თანახმად ცვალებადობის მებაირაღტრეა.

თავის წერილში, რომელიც დაიბეჭდა „Новый Вечер. Часъ"-ში, მილიუკოვი ილაშქრებს თავის პარტიის წინააღმდეგ, რომელიც მოკავშირეთა ორიენტაციას იცავს და რომელსაც მილიუკოვი თავგამოდებით იცავდა მთელი სამ ნახევარი წლის განმავლობაში. მილიუკოვის აზრით პირობები შეიცვალა და მაშასადამე ახალი ორიენტაციაა საჭირო. რომ პირობები შეიცვალა, ამას მილიუკოვი შემდეგნაირად ასაბუთებს: „მე ვფიქრობ. რომ ის პირები, რომელნიც განაგრძობენ იმის მტკიცებას, რომ ჩვენთვის სავალდებულოა მოკავშირეებთან წინეთ დადებული პირობები, საკმაო ანგარიშს არ აძლევენ იმ გარემოებას, თუ რამდენათ შეიცვალა მდგომარეობა. ფაქტიურათ ახლა არ არსებობს ის უფლებრივი სუბიექტი, რომელმაც პირობა შეჰკრა, არ არსებობს რუსეთის სახელმწიფო და მისი შექმნა უნდა იყოს ჩვენი პირველი წინასწარი მიზანი. შემდეგ, ფაქტიურად არ არსებობს ის ობიექტიც, რომლის შესახებაც იკვრებოდა პირობები: არ არსებობს ომი, და ვერავითარ ძალას ვერ შეუძლია რუსეთის ხალხს ისევ ომი დააწყებინოს, როგორც უნდა იყოს ჩვენი აზრი ბოლშევიკების მიერ შეკრულ ზავზე". და რადგან შეუძლებელია ომში მონაწილეობა განაგრძობს მილიუკოვი—ჩვენ დაგვრჩენია ერთი რამ—ნეიტრალიტეტის დაცვა; აქეთკენ უნდა იყოს მიპყრობილი მთელი ჩვენი ყურადღება, ამის ირგვლივ უნდა იმართებოდეს ყველა მოლაპარაკება, რადგან მილიუკოვის აზრით „ფორმალურ ნეიტრალიტეტს" რუსეთისას გერმანიისთვის აქვს დიდი მნიშვნელობა. მილიუკოვი თავის წერილში არ ეხება კითხვას „ფორმალურ ნეიტრალიტეტის" არსებაზე, ის ანალიზსაც არ უშვრება იმ გარემოებას, რომ „ფორმალურ ნეიტრალიტეტის" გამომცხადებელ სახელმწიფოს ხშირათ სულაც არ ეკითხებიან და ძალა უნებურათ ომში იორევენ. ნეიტრალიტეტი არ იძლევა გარანტიას საომარ მოქმედების მოსპობისას ამა თუ იმ ქვეყანაში, და თუ მილიუკოვი ამბობს, რუსეთში ომი არ არსებობსო, მან ისიც უნდა აღიაროს, რომ ნეიტრალიტეტიც არ არსებობს და არც შეიძლება იყოს.

მილიუკოვმა ეს დიდებულად იცის, მაგრამ მან ისიც იცის, რომ კადეტები ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას შესძლებენ „ნეიტრალიტეტის" წყალობით, ან უფრო უკეთ იმათი წყალობით, ვისთვისაც ეს ფაქტიური ნეიტრალიტეტი ხელსაყრელია. სწორედ ამისთვისაა, რომ ამ „ნეიტრალიტეტს" ასე ებღაუჭება კადეტების ლიდერი. მხოლოდ კადეტების ცენტრალურ კომიტეტს მილიუკოვის ასეთი გამოსვლა ღალატად მიაჩნია. ის ალბად ჯერ მილიუკოვის „სახელმწიფოებრივ" სიმწიფემდე ვერ მისულა და ვერ უგრძვნია, რომ მილიუკოვის „ნეიტრალიტეტი" კადეტებს ძალა-უფლებისაკენ უკაფავს გზას.

ი, ხალაყაია.

## პ რ ე ს ა

რუსი ესერების „ტრუდოვოე ზნამია", რომელსაც თავი უაღრეს „ინტერნაციონალურათ" მოაქვს, ზევიდან დაგვცქერის.

განდიდების სენით შეპყრობილთაგან სხვაგვარ მოქცევას არც უნდა მოველოდეთ!

ეს გაზეთი ამ დღეებში ადარებდა რა ერთმანეთს „ერთობა"-ს და „ბორბა"-ს სწერდა: რასაც დასწერს „ერთობა" თავის თანამოაზრეთა წასაკითხად, იმავეს დაწერას ვერ გაბედავს „ბორბა", ვინაიდან ამ გაზეთს კითხულობენ ინტერნაციონალური მკითხველებიო.

გამოდის, რომ ქართულად ყველაფრის დაწერა შეიძლება, რაც კი ადამიანს პირზე მოადგება, რუსულად აგრე არ შეიძლება.

ამ გაზეთის აზრით ქართველი მწერალი „ერთობა"-ში რომ სწერს, ორ პირი ადამიანია, თვით გაზეთის მკითხველი განუვითარებელი. რასაც დასწერენ ქართულ გაზეთში, მკითხველი მას ვერ არჩევს და სხ.

სულ სხვა გვარად უნდა იყოს საქმე რუსულ გაზეთებში, რუს მკითხველებში —იქ მწერალიც რიგიანია, მკითხველიც კულტურული.

თავიანთ თავზე რომ დიდი წარმოდგენის არ ბრძანდებოდენ ადგილობრივი რუსი სოციალისტ-რევოლიუციონერები, განა ამ გვარი აზრის გამოთქმას ინებებდენ?

ჩვენს გაზეთში მოთავსებული წერილი რა ენაზედაც გნებოთ გადათარგმნეთ—ჩვენ თამამად მოვაწერთ ხელს. ჩვენ სალაპარაკოთ ორი ენა, საწერად ორი კალამი არ გვქონია.

არა ინტერნაციონალური აზრების დასამტკიცებლათ „ტრუდოვოე ზნამია"-ს მოჰყავს ჩვენი გაზეთიდან მ. გეგეჭკორის შესახებ მოთავსებული პატარა შენიშვნის თარგმანი და დასძენს: „აი როგორ მუშაობენ ჰოტენტოტები"-ო.

ჩვენს მოქმედებაში, გინდ მსჯელობაში ჰოტენტოტურს ვერაფერს იპოვით. რუსი ესერები კი ხშირად გამოდიან ჰოტენტოტების როლში: როცა რუსეთში მუშაობენ სახელმწიფოს მოღალატენი, ესერების აზრით, ეს არ არის კარგი, როცა საქართველოში მუშაობს ამავე ჯურის ხალხი, ეს კარგი საქმეა.

გაზეთი „გრუზია", თითქოს, როგორც რუსები იტყვიან, ნავახშმევს მიირთმევს „გორჩიცას".

ჯერ ამ გაზეთმა დაბეჭდა ალ. შერვაშიძის წერილი უშენიშვნოთ იმის შესახებ, თუ როგორ მოიქცია მან ოსმალეთის ჯარი აფხაზეთში. (შერვაშიძის წერილის თარგმანი ჩვენ დავბეჭდეთ) ახლა პასუხს სწერს.

„იმის მაგივრად, რომ დაუყონებლივ წამოსულიყო საქართველოს სატახტო ქალაქ თფილისში და საქართველოს მთავრობის წინაშე აღეძრა საკითხი საჭირო ზომების მიღების შესახებ ბოლშევიკების წინააღმდეგ და საზოგადოთ, რომ ყოფილიყო ის ამ საშიში მდგომარეობის დროს სამშობლოში, თავ. ალ. შერვაშიძე საქართველოს მთავრობის გაუგებრათ, რომლის ჯარები აფხაზეთში ბოლშევიკებს ებრძოდენ, საქართველოს რაზმის უფროსის შეუკითხავად, ადგენს ბათუმში ოსმალეთის ჯარს და ყველასათვის მოულოდნელათ გადმოჰყავს ნაპირად სამხედრო მოქმედების დასაწყებად. შერვაშიძის ამ გვარ მოქმედებას რაც გსურთ ის უწოდეთ, მხოლოდ ეს არ არის მეგობრული, მით უმეტეს,—ძმური მოქმედება ქართველი ხალხისადმი".

ამის შემდეგ გაზეთი თითქოს იმ აზრს ადგია, რომ შერვაშიძე ოსმალების მომხრეა, თითქოს ის კონტრ-რევოლიუციონერია, მაგრამ თან დასძენს:

„უკანასკნელ ხანებში აფხაზეთის ზოგიერთ წრეებში ამბობენ, რომ ალ. შერვაშიძე გაუგებრობის მსხვერპლი შეიქნა, რომ ის არ არის თურქოფილიო და სხ. ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ თვით შერვაშიძემ დაამტკიცოს ეს საქმით და არა წერილების რედაქციების მიმართ გაგზავნით და ნუ დაივიწყებს, რომ ბათუმში დარჩენის ყოველი დღე მის წინააღმდეგ ლაპარაკობსო" და სხ.

თქვენ, ალბათ, გაგიგონიათ, როგორ და რა პირობებში მოიმკვდარუნა თავი მელამ.

ასე მოსდის „გრუზიას" და მის ალ. შერვაშიძეს! თავის მომკვდარუნების ნაცვლად მათ სურთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავის „მოსულელება".

თითქოს არ იცოდეს რას სწერს და რას აკეთებს ალ. შერვაშიძე!

„გრუზია" და თავ. ალ. შერვაშიძე!.. ორნი არიან, ტოლნი არიან.

განსხვავება მათ შორის მხოლოდ ისაა, რომ „გრუზია"-ს სახელწოდება აქვს ქართული, შრიფტი—რუსული, აზრები—თათრული.

თავ. ალ. შერვაშიძე მოდგმით აფხაზია, გვარი და გაუქმებული წოდება აქვს ქართული, გული—თათრული.

„მემარცხენე" დაშნაკელთა „აშხატავორი" სალ ჭკუა-გონებაზე მემარცხენე აღმოჩნდა.

ეხება რა ეს გაზეთი ალბულახში მომხდარ არეულობის ჩასაქრობად მიღებულ ზომებს ჩვენი მთავრობის მიერ, სწერს:

„რომელიმე საწყობის დარბევა, 10—15 კაცისაგან შემდგარი ქართული რაზმისათვის იარაღის აყრა ჩვენის აზრით არა თუ დემოკრატიულს, თვით მტარვალურ მთავრობასაც არ აძლევს უფლებას აგრე გალაშქრებისას. უკეთუ მთავრობას სურს „ისარგებლოს შემთხვევით" და იარაღი აჰყაროს მცხოვრებთ, ამისთვისაც არ იყო საჭირო იარაღისთვის მიმართვა, უნდა ფხიზლად ეჭიროს მთავრობას თავი, ყველა მოხელეს თავისი ადგილი მიუჩინოს და არ შექმნას ორმთავრობიანობა".

გაავრცელეთ ეს აზრი თქვენ ხალხში ზეპირადაც და საკმაოა დააკანონოთ, მოიწონოთ ის, რაც ალბულაღში თუ სხვა ადგილებში „პოგრომები" მოხდა.

რომელიმე საწყობის დარბევა, 10—15 კაცისაგან შემდგარი მთავრობის რაზმისთვის იარაღის აყრა „საბუთს" არ აძლევს მთავრობას, „შემთხვევით" არ უნდა ისარგებლოს მთავრობამ და სხ.

რა ეხარჯებათ დაშნაკელებს ცარიელი სიტყვების მეტი, მით უმეტეს, როცა მათ ცარიელ სიტყვებს შესაფერისი საქმეც წინ უძღვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ!

## დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

9 სექტემბერი.

**ბერლინი.** სასტიკი და ენერგიული გამოძიება სწარმოებს ლენინის დაჭრის შესახებ. პეტროგრადიდან ბევრ საინტერესო და საყურადღებო ახალ ცნობებს გვატყობინებენ. ლოკარტს ჰქონია კავშირი რუსის თვალსაჩინო სამღვდელო პირებთან.

**ვენა.** საგარეო საქმეთა მინისტრმა გრ. ბურიანმა ავსტრიის დელეგაცის წევრის ლანგენზენთან საუბარის დროს უკანასკნელის შეკითხვაზე მართალია თუ არა, რომ რუმინიის მეფის რეზიდენციაში და აგრეთვე რუმინიის გავლენიან წრეებში აქვს ადგილი ცენტრალურ სახელმწიფოებისადმი მტრულ განწყობილებასო, მინისტრმა უპასუხა, რომ მთავრობა ვალდებულია ფხიზლათ ადევნოს თვალ ყური ამ დაუპყრობელ ადგილებს და თუ შეამჩნევს ჩვენდამი მტრულ

განწყობილებას, მიიღებს სასტიკ ზომებს მის აღმოსაფხვრელათო.

10 სექტემბერი.

**ბერლინი.** არმანტიერთან მტერმა ხელმეორეთ მოიტანა იერიშები, რომელიც იქნა ჩვენ მიერ მოგერებული. წამოვიყვანეთ ტყვეები. არლე-გავრენკულის არხთან არტილერიის და მზვერავთა მოქმედებაა. პერონ კამბრესთან მტერმა დიდი ძალებით მოიტანა იერიში. აქ ჩვენ ისინი ძლიერ დავამარცხეთ და დიდი ზარალიც მივაყენეთ. ჩვენმა ჯარის წინა ნაწილებმა შეაჩერეს მტრის წინსვლა სენ-სიმონთან და კროზატთან. ბრძოლა სწარმოებს მზვერავთა შორის უაზის და ელეტთან. ელეტთან და ენთან მტერმა რამდენიმე შემოტევის შემდეგ იერიში მოიტანა საერთო ძალებით, რომელიც ყველგან იქნა მოგერებული ჩვენ მიერ. ენის და ვესლის შორის მტრის იერიშები ყველგან მოვიგერიეთ. შამპანში მტერი უშედეგო ბრძოლას აწარმოებს.

**ვენა.** მონტეპერტიკთან გუშინწინ დ გუშინ დილას მოვიგერიეთ ყუმბარებით იტალიელების იერიშები. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. ზღვის პირის რაიონში საარტილერიო ბრძოლას ვაწარმოებთ. იერუსალიმ ნაბულუსთან ჩვენმა მზვერავებმა გარეკეს მტრის მზვერავები. სასტიკი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს ორივე მხრიდან. ჩვენმა ბატარეიამ სასტიკი ცეცხლი გაუჩინა მტრის ცხენოსანთა „კოლონებს“, რომელიც ლამობდა მდ. იორდანის ნაპირას გამაგრებულიყო. ჩვენმა ცხენოსნებმა გაფანტეს მტრის ცხენოსნები და გამაგრდენ მენდესთან. უკანასკნელ დღეებში მტერი რამდენჯერმე დავამარცხეთ. ჩრდილო-დასავლეთით კალიატ-ელხზასთან ჩვენ უკუ ვაქციეთ მტრის ბრბოები და შევიჭრით ტაყილეში: მაანთან ჩვენმა ჯარის ნაწილებმა სასტიკ ბრძოლის შემდეგ დაამარცხეს მტერი და ტყვეთ წამოიყვანეს 1 აფიცერი და 20 მებრძოლი. ხელთ ვიგდეთ რამდენიმე ტყვიის-მფრქვეველი. მედანთან მივაგენით აჯანყებულთა ბინას და გავფანტეთ.

**პარიჟი.** ფრანგების ჯარებმა რამდენიმე ადგილას გაიმარჯვეს და დაიპყრეს ახალი რაიონები. ჩრდილოეთით სომ-ის ფრანგებმა აიღეს სოფელი ეტრეიერი და რუპი. კროზატის არხთან ფრანგებმა დაიპყრეს გრანდ სეროკურტი, კლისტრომი, მონტესკურტი, ლიზეროლომი და რეჟიონი. ჯარის წინა ნაწილებმა დაიპყრეს სიმაღლე „103“, რომელიც მდებარეობს კონტეკურტის სამხრეთით. დაიპყრეთ მაღლობი „117“. აუზთან ფრანგებმა აიღეს ფორტი ლიე, კაბლერი და წითელი „ფერმები“.

ამერიკელების ცნობა. გოგრასთან მტრის დარაჯებმა მოიტანეს იერიში ჩვენ პოსტებზე, რომელიც მოვიგერიეთ. სხვა ფრონტებზე დღე მშვიდობიანათ ჩატარდა.

**სოფია.** ბავარიის მეფეს გაუმართეს ბანკეტი, სადაც ფერდინანდმა თავის სადღეგრძელოში აღნიშნა კეთილ მეზობლური განწყობილება, რომელიც არსებობს ბავარიის და ბოლგარიის შორის.

**ტაშკენტი.** გთხოვთ გადასცეთ კოლისოვს, რომ ცენ. აღმ. კომ. დადგენილებით შესდგა რევოლიუციონური სამხედრო საბჭო რესპუბლიკისა, ჯარების სარდლათ ვაცეტისია. ავტონომიურ თურქესტანის საბჭოთა ჯარები, რევოლიუციონურ საბჭოთა დადგენილებით შეადგენენ მე-7 აღმოსავლეთის ჯარის ნაწილს. დროებითი შტაბი იქნება ასტრახანში. უეჭველია, რომ თურქესტანი დაემორჩილება რევოლიუციონურ საბჭოს ხელმძღვანელობას, რომლის თავმჯდომარეც არის ტროცკი და ერთი ხელმძღვანელთაგანი ვარ მე, კობოზევი, საჭიროა კოლესოვი გაჩერდეს ასხაბადში დ ნუ წამოვა კრასნოვოდსკენ, რადგანაც ჩვენი ჯარის მარცხენა და მარჯვენა ფრთა არაა უზრუნველ ყოფილი ინგლისელების საფრთხის თავიდან ასაცილებლად; გთხოვთ დაადასტუროთ გუშინდელი თქვენი რადიო, სადაც აცნობდით მოსკოვს, რომ ურალსკი აიღეთ თქვენ და ბუზულუკსკენ მიიწევთ.

მთელ რუსეთში 15 ოქტომბრიდან პირველ ნოემბრამდე მოხდება საყოველთაო მობილიზაცია 20 წლიან ახალგაზდებისა. განურჩევლათ მათი კლასობრივ მდგომარეობისა. ეს იქნება ერთგვარი ცდა საყოველთაო ხალხის შეიარაღებისა. სასურველია მოამზადოთ თურქესტანშიაც. გამოარკვიეთ რიცხი გასაწვევ ახალგაზრდებისა. მოამზადეთ კარგი სეუთა შენობები. მეცადინეობა გაწვეულებისა გაგრძელდება არა ნაკლებ ნახევარი წლისა. (გაგრძელება არ მოსულა).

## მთავრობაში

მთავრობის საქმეთა მმართველის მოხსენებით, აფხაზეთში მიმავალ კომისიისათვის ხარჯებისა და მოხელეთა შესახებ მთავრობამ დაადგინა: ა) მიეცეს კომისიის წევრებს თითოს ხუთი თუმანი დღიურათ და ბილეთის ფასი და ამისათვის მთავრობის საქმეთა სამმართველოს გაეხსნას ხუთი ათასი მანეთის კრედიტი; ბ) დაევალოს იუსტიციის მინისტრს მისწეროს სოხუმის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს, რომ მან მისცეს კომისიას საჭირო მოხელეები; გ) გასაგზავნი კომისიის წევრებისათვის იყოს მიღებული დღიური ხარჯი სამი თუმნიდან ხუთ თუმნამდე და ბილეთის ფასი მესამე კლასიდან პირველ კლასამდე, რაიცა ეცნობოს სამინისტროებს.

---

ფინანსთა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: 1) დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრს ორი კვირის განმავლობაში შეიტანოს სატეხნიკო სასათათბიროში პროექტი ფოთში რიონზე ხიდის აშენების შესახებ; 2) ნება მიეცეს ფინანსთა სამინისტროს მოახდინოს რეალიზაცია სხვადასხვა ქონებისა, რომელიც ინახება ფოთის ნავთსადგურის ტერიტორიაზე, და აღებული ფულიდან გაიღოს ნახევარი იმ თანხისა, რომელსაც განსაზღვრავს სატეხნიკო სათათბირო ხიდის გასაკეთებლათ; 3) მიენდოს ჩვენს დელეგაციას ბერლინში გამოარკვიოს შესაძლოა თუ არა, იმ სააქციონერო საზოგადოებამ, რომლის ხელში უნდა გადავიდეს საიჯაროთ ნავთსადგური, მიიღოს ხსენებული ხიდის აშენებისათვის ხარჯები სრულიათ ან ნახევრათ; 4) ხიდის აშენებისათვის გაღებული კრედიტები გადაეცეს ფოთის ქალაქის თვითმართველობას, რომელმაც უნდა მიიღოს თავის თავზე შრომა ხიდის აშენებისა; ამასთანავე ის პირი, რომელიც იქნება სათავეში საამშენებლო მუშაობისა ფინანსთა მინისტრმა უნდა დაამტკიცოს.

იმავე მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა გაეხსნას ფინანსთა მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან 30,113 მან. გაუქმებულ სადამღო დაწესებულებათა მოხელეების დასაკმაყოფილებლად.

იმავე მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა გამოიცეს ათმანეთიანი ბონები სხვა ფერადებით.

იმავე მინისტრის მოხსენება, თფილისის, ბათუმისა და სოხუმის სახელმწიფო ბანკების და შემნახველი კასის მოხელეთათვის სიძვირის გამო ჯამაგირების მომატების შესახებ მთავრობამ დაადგინა გადაეცეს შრომის სამინისტროს ამ საქმის შესახებ თავისი აზრის გამოსათქმელად.

სამხედრო მინისტრის მოხსენება საკრედიტო ქაღალდების ექსპედიციის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ მთავრობამ მოიწონა და დაადგინა გადაეცეს ეროვნულ საბჭოს.

პროექტები: ა) საფუთო გადასახადის, ბ) საკანცელარიო გადასახადის და ვ) საწყობში შესანახი გადასახადისა მოწონებულ იქნა და დადგენილ იქნა წარედგინოს ეროვნულ საბჭოს.

მთავრობამ დაადგინა გერმანულ ფულის დასახურდავებლად სახელმწიფო ბანკში გადაიდოს ორასი ათასი მანეთი.

გაეხსნა ფინანსთა მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან კრედიტი 300,000 მან. საექციზო უწყების მოსამსახურეთა სალიკვიდაციო ფულის დასაკმაყოფილებლად.

კანონ პროექტი გადასახადის შესახებ მოწონებულ იქნა და გადაეცა ეროვნულ საბჭოს.

სალიკვიდაციო ფული მიეცეს იმ მოხელეთაც, რომლებიც იძულებული არიან დასტოვონ სამსახური ქართული ენის უცოდინარობის გამო.

---

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა გაეხსნას შინაგან საქმეთა სამინისტროს ათ მილიონიან ფონდიდან 100,000 მან. კრედიტი ქალაქთა შორის ტელეფონების გაყვანის საჭიროებისთვის.

გაეხსნას შინაგან საქმეთა მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან საგუბერნიო სასანიტარო კომისიისათვის ოცდაათი ათასი მანეთის კრედიტი ხოლერასთან საბრძოლველად.

გადაიდვას ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთათვის დამატებითი ჯამაგირისა და ერთდროული დახმარების მისაცემი საჭირო თანხა ათ მილიონ. ან ფონდიდან.

ამიერ კავკასიის სატელეგრაფო სააგენტო ამიერიდან იწოდებოდეს საქართველოს სატელეგრაფო სააგენტოდ.

---

განათლების მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: 1) გაგრის რეალური სასწავლებელი გადაეცეს განათლების სამინისტროს, 2) მიეკუთვნოს გაგრის ქალაქის თვითმართველობას სამზრუნველო საბჭოს უფლებები, 3) წინადადება მიეცეს გაგრის ქალაქის თვითმართველობას იკისროს 10,000 მანეთის სუბსიდია.

გაეხსნას განათლების სამინისტროს ათ მილიონიან ფონდიდან კრედიტი 5,500 მან. ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლის ნივთიერ დახმარების აღმოსაჩენად.

გზათა მინისტრის მოხსენება სარკინიგზო მიმოხვედვათა კომიტეტის დაარსების შესახებ მოწონებულ იქნა.

გარეშე საქმეთა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: 1) ამა წლის 7 სექტემბერს გაემგზავროს ბაქოში იქ გასაგზავნად არჩეული დელეგაცია ისიდორე რამიშვილის მეთაურობით; 2) მიეცეს ისიდორე რამიშვილს ათი ათასი მანეთი დელეგაციის ხარჯების დასაფარავად და 40.000 მან. საქმის საჭიროებისათვის.

---

მთავრობის თავმჯდომარის განცხადებით, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს დაევალა მიესალმოს მთავრობის სახელით ქალაქთა ყრილობას.

---

საქართველოს წითელი ჯვრის საქმეთა მთავარი რწმუნებულის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: ა) მთავარი გამგე საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა ინიშნებოდეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ; ბ) ამ საზოგადოების მთელი წარმოება, შემოსავალ-გასავალი და საერთოდ ფინანსიური მხრივ, დაექვემდებაროს სახელმწიფო კონტროლიორს; გ) საზოგადოების წესდების პროექტი გადაეცეს მთავრობის თავმჯდომარეს, შესწორების შესატანად თუ კი ამას საჭიროდ დაინახავს.

---

გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობის აღმასრულებელის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: ვინაიდგან საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობათა ორგანიზაცია უცხო ქვეყნებში შეადგენს გარეშე საქმეთა სამინისტროს პირდაპირ მოვალეობას, ამიტომ შტატები და ხარჯთ აღრიცხვა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა რუსეთში, გადაეცეს ხსენებულ სამინისტროს განკარგულებაში.

---

მიწათმოქმედების მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: ა) თფილისისა და ქუთაისის მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოები გაუქმებულ იქნან 1918 წლის 1 სექტემბრიდან და ყველა მათი მოვალეობა და საქმეები გადაეცეს ცენტრალურ საადგილ-მამულო გამგეობას; ბ) ვინც შტატგარეშე დარჩება ამ დადგენილების გამო, დაკმაყოფილებულ იქნას სალიკვიდაციო ჯილდოთი საზოგადო წესით, ათ მილიონიან ფონდიდან; გ) ეს დადგენილება წარედგინოს ეროვნულ საბჭოს შესაფერი კანონ-პროექტის სახით.

მიენდო დაუყონებლივ მოახდინოს გაგრის სამეტეოროლოგიო სადგურის შტატის შემცირება და ამისთვის გაეხსნას მას 125,000 მანეთის კრედიტი ათ-მილიონიან ფონდიდან, დათხოვნილ მოსამსახურეთა სალიკვიდაციო ჯილდოთ დასაკმაყოფილებლად და სხვა ხარჯების დასაფარავად.

ისაია ფურცელაძის მიერ შემოწირული მამული გორის მაზრის სოფელ მერეთში, აგრეთვე ფულად 20,000 მანეთი, ამ მამულში პირველ-დაწყებითი სასოფლო სამეურნეო სკოლის დასაარსებლად მთავრობამ მიიღო და დაადგინა გამოეცხადოს მას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელით მადლობა, დაინიშნოს იგი იმ სამეურნეო სკოლის, რომელიც დაარსებულ უნდა იქნეს მისგან შემოწირულ მამულში, საპატიო მზრუნველად და გამოიკიდოს ამ სკოლაში მისი სურათი.

---

იუსტიციის მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: ა) სოჩის ოლქი სასამართლოს მხრივ დაემქვემდებაროს სოხუმის ოლქის სასამართლოს და ბ) ამითი გამოწვეული ხარჯების დასაფარავად დაევალოს იუსტიციის სამინისტროს წარმოადგინოს შესაფერი ხარჯთაღრიცხვა.

## ახალი ამბები

შინაგან საქმეთა სამინისტრო იმუშავებს კანონ-პროექტს იმ პირთა ქონების ჩამორთმევის შესახებ, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლებში. ჩამორთმეულ ქონებიდან უნდა დაარსდეს ფონდი, რომლითაც დახმარებას გაუწევენ იმ პირთ, რომელნიც აჯანყების დროს დაზარალდენ.

✦ **სასოფლო კომისიაში.** ი. ბადრიძის მოხსენებით, ბორჯომის რაიონში ორგანიზაციული მუშაობა თითქმის სრულიად არ სწარმოებს. ჩვენ მიერ გაგზავნილ პროპაგანდისტებთა შორის, მხოლოდ ერთი ხმალაძე მუშაობსო. იქ ეხლა აუცილებელი საჭიროა ენერგიული მუშაობა. ტყის მოჭრისა და მისი გაზიდვის გარშემო დიდი უკმაყოფილებაა გლეხებში; ხელს უშლიან აგრეთვე მუშაობას ლტოლვილები. რ. ჩიხლაძემ, კლიმიაშვილმა და ქლენტმა მიუთითეს მიწათ მოქმედების მინისტრის ამხანაგ პ. გელეიშვილს, გორის მაზრაში მომქმედ სასოფლო კომისიის სრულ უმოქმედობაზე.

✦ **შინაგან საქმეთა სამინისტრომ** უარჰყო სპარსეთის ქვეშევრდომი ლტოლვილების თხოვნა, რომ ისინი გაშვებულ იქნან სამშობლოში თფილისით ვიდრე სპარსეთის გზა გაიხსნებოდის.

✦ **ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა** კავშირი ამით აცხადებს, რომ ვინაიდან პროვინციიდან საკმაო რიცხვი წარმომადგენლებისა, მიმოსვლის არევ-დარევის გამო, დანიშნულ დროზე კოოპერატივების რწმუნებულების კრებაზე დასასწრებლად ვერ ჩამოვიდენ, კრება გადაიდო 12 სექტემბრისათვის (ახალი სტილით). ჩამოსულ წარმომადგენლებს სთხოვენ, არ დაიშალონ და ხუთშაბათს, 12 სექტემბერს, დილის 10 საათზე გამოცხადდენ მუშათა კლუბში, მიხეილის ქუჩა № 65.

✦ **სახალხო განათლების სამინისტრომ** შეიმუშავა ნორმა გაკვეთილების რაოდენობისა მთავრობის გიმნაზიებში: კვირაში ქართულ ენას დაეთმობა 29 გაკ. რუსულს 25, გერმანულს 26, ფრანგულს 17, ლათინურს 12, ფსიხოლოგია-ლოღიკას 4, კანონმდებლობას 2, არითმეტიკას 9, გეომეტრიას 8, ალგებრას 10, ტრიგონომეტრიას 9, ფიზიკას 1, კოსმოგრაფიას 2, საქართველოს ისტორიას 10, საყოველთაო ისტორიას 17, გეოგრაფიას 17, ბუნების მეტყველებას 10, ხაზვა ხატვას 5, გალობას 2 გაკ. პირველ კლასში 24 გაკ. იქნება კვირაში, მე 2 კლასში 23 გაკ. მე 3 კლ. 26, მე 4—26 გ. მე 5—28 გაკ. მეექვსე კლასში 28, მეშვიდე კლ. 30, მერვეში 33 გაკ. მეცადინეობა დაიწყება 20 სექტემბერს.

✦ **ხოლერა.** უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში ქალაქის საავათმყოფოში მოიყვანეს 15 ხოლერიანი და 6 ხოლერის ნიშნებით ავათმყოფი. საეჭვო განყოფილებიდან გადაიყვანეს ხოლერიანებში 5, მოკვდა 18 ხოლერიანი და 7 საეჭვო ავათმყოფი.

✦ **ბონების დაბეჭვდის შესახებ** უკვე შეთანხმება მოხდა ჩვენ მთავრობის რწმუნებულსა, სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენელ ჯამალიანის და ადერბეიჯანის რწმუნებულ ჯაფაროვის შორის. პირობებს უკვე ხელი მოაწერეს 6 სექტემბერს, რომლის ძალითაც სამივე რესპუბლიკა აგებს პასუხს უკვე გამოშვებულ 300 მილ. მან. ბონებში და აგრეთვე იქნებიან პასუხისმგებელნი 280 მილ. ბონებისა, რომელიც გამოვა მოკლე ხანში. ეს შეთანხმების პირობები სავალდებულოა სამივე რესპუბლიკისთვის.

✦ **დეპეშები აფხაზეთში** შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით აფხაზეთში უნდა იგზავნებოდეს რუსულად და არა ქართულად, ვინაიდან აფხაზეთში ყოველგვარი საქმეები რუსულ ენაზეა.

✦ **ციხეები.** მთავრობამ გადასცა იუსტიციის მინისტრს 100,000 მანეთი ათ მილიონიან ფონდიდან თფილისის ციხეების შესანახად.

✦ **დატუსაღება.** ივანე სამსონია, ვარლამი და პეტრე ლომაძეები, კასიანე ჩხაიძე და გიორგი ასკურავა დაატუსაღეს მომარაგების კომიტეტიდან საქონლის ქურდობისათვის.

✦ **მთავრობის მონდობილობით** გარეშე საქმეთა სამინისტრომ მიმართა ადერბეიჯანის მთავრობას, რათა დაცულ იქნას იმ საქართველოს მოქალაქეების ინტერესები, რომლებიც ამ ჟამად ბაქოში ცხოვრობენ.

✦ **კრება.** დღეს საღამოს ხუთ საათზე სახელოსნო სასწავლებლის შენობაში დანიშნულია შეერთებული კრება მეოთხე სარაიონო ქალთა და რაიონის კოლექტივისა, ამხანაგებს ვსთხოვთ აუცილებლათ დაესწრონ.

✦ **დროებით საორგანიზაციო ბიურო** მომარაგების კომიტეტის თანამშრომელთა ამით აცხადებს, რომ პირველი კრება სადელეგატო ყრილობისა დანიშნულია ოთხშაბათს, 11 სექტემბერს საღამოს ექვს საათზე მომარაგების კომიტეტის ბინაზე (სერგეევის ქუჩა 13) ვინაიდან მეტად საყურადღებო საკითხებია გასარჩევი, ბიურო სთხოვს ამხ. დელეგატებს ნუ დაიგვიანებენ.

## პროვინციის ქრონიკა

**გორის** მაზრის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის კრება დანიშნულია გორში 12 ენკენისთვეს, ნაშუადღევის 4 საათზე ცენტრის ბინაზე. ვსთხოვთ ამხანაგ ცენტრის წევრებს პასუხის მგებელ პროპაგანდისტებს და ახალქალაქის რაიონში დაინტერესებულ პირთ დაესწრონ აუცილებლათ კრებას.

## დასია თუ სტუდია?!

დრამატ საზოგადოების გამგეობამ სტუდია გახსნა; და ჩვენ ვფიქრობდით, ეს იქნებოდა სტუდია, სრულის ამ სიტყვის მნიშვნელობით; გამოზრდიდა მომავალ მსახიობთ, შეასწავლიდა ხელოვნებას და მომზადებულს, ცოდნით აღჭურვილს მოაწვდიდა სცენას, როგორც ეს ხდება სხვა კულტურულ ქვეყნებში. ამით მომავალში მაინც ავცდებოდით იმ სენს, რომელიც დღიდან დაარსებისა თან სდევს ჩვენს თეატრს; გამგეობის ამ ნაბიჯს ყველა სიხარულით შეხვდა, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა და დანამდვილებით შეიძლება ითქვას,—მეორდება ძველი სენი ახალ სხეულში და აი, რატომ. გამგეობა გვეუბნება: მე „ავაღორძინებ“ ქართულ თეატრს, შევქმნი ახალ დასს და სეზონსაც ვაწარმოებო. (რამდენადაც ვიცით სეზონის გახსნას აპირებენ დეკემბერში). მართალია საქართველოში ბევრი სასწაულები მომხდარა და ხდება კიდეც, მაგრამ ნება გვიბოძეთ ეს სასწაული არ ვიწამოთ. არტისტები იქმნებიან წლობით და არა თვეობით. არ გავკადნიერდები და სტუდიის მოწაფეთა ნიჭიერებაში ეჭვს არ შევიტან, მაგრამ სრულიად გამოუცდელი ადამიანის ექვსი თვის განმავლობაში ისეთ მსახიობად შექმნა, რომლის ცქერა და ყურის გდება ორს, ან სამს წარმოდგენაზე არ მოგბეზრდეს,—მაპატიეთ, არა მჯერა! დაუჯერებელია ისიც, რომ ამ ნორჩმა ძალამ მთელი სეზონის სიმძიმე აიტანოს პირნათლად, თუნდაც ეს სეზონი დეკემბერში იწყებოდეს. გამგეობას ძალიან სახიფათო ნაბიჯი განუზრახავს და ვშიშობ,—ეს არ იქნება თეატრის „აღორძინება“, ეს იქნება მისი სრულიად მოკვლა და დამარხვა. ჩვენ ვფიქრობდით,—სტუდია ისწავლის, იმუშავებს ცალკე კერძოთ და როცა მოემზადება თვეში გამართავს ერთ-ორ წარმოდგენას სანიმუშოთ, საცა, როგორც გამოცდაზე საზოგადოება დაინახავს—რა მოგვცა ამ სტუდიამ და რისი იმედი უნდა გვქონდეს. აქ-კი სულ სხვა გამოდის! აქ გვპირდებიან სეზონის წარმოებას,—სჩანს ეს სტუდია კი არა, დასი ყოფილა! მაპატიეთ, მაგრამ ნება მომეცით ასე ნაჩქარევად შეხანხლილი დასი არ ვიწამო და ეჭვის თვალით შევხედო.

ეს რომ დასია და არა სტუდია, კიდევ იქიდანა სჩანს, რომ სტუდიის მოწაფეებს გამგეობა პირველი სექტემბრიდან უკვე პირობით შეეკრა. ჩვენ ხელთა გვაქვს ერთი მოწაფის პირობა, რომელსაც ხელი უწერია გამგეობის თავმჯდომარეს თავ. ერისთავს და მოწაფეს. ჯამაგირი 700 მანეთი!! როგორც გადმომცეს, ეს არის მინიმუმი ჯამაგირისა, ადვილი წარმოსადგენია, რა იქნება მაქსიმუმი! საკვირველი ჯამაგირის რაოდენობა კი არ არის, გასაოცარია, მოწაფეს მუქთად ასწავლო და პირიქით, ჯამაგირიც მისცე! ასეთი რამ ჩვენს კურთხეულ დრამ. საზოგადოებაში თუ ხდება, თორემ სხვაგან არ გამიგონია! ეს კი გამიგონია, რომ სტუდიაში მოწაფეები სწავლის ფულს თითონ იხდიან. ეს მინიმუმი რომ ვივარაუდოთ მთელ სტუდიაზე (35 მოწაფეა) თვეში 25—30 ათასი მანეთი შედგება. ეს ფული გამგეობამ უნდა იხადოს ოთხი თვის განმავლობაში, ეს ხომ ასი ათასს აღემატება, ხოლო დეკემბერში სტუდია რითი გაგვიმასპინძლდება და რა ღირსების ახალ არტისტებს მოგვცემს,—ეს ჯერ კიდევ დიდი საკითხია. ჩვენ არ გვინდა დრამ. საზოგადოების კასაში ხელი ვაფათუროთ, მაგრამ როცა ასი ათასები „ან ჰო, ან არა“-ზე იხარჯება, აქ ნება გვიბოძეთ მოგახსენოთ, რომ ეს ფული საზოგადოა და მისი დახარჯვა სიფრთხილით უნდა სწარმოებდეს.

საკვირველია სატირელი რომ არ იყოს კიდევ ერთი გარემოება: გამგეობას იმდენი ფული გაუჩნდა, რომ სტუდიის მოწაფეს, რომელსაც ჯერ არაფერი გაუკეთებია და ვინ იცის რა იქნება, ჯამაგირს აძლევს თვეში 700 მ. და ჩვენი დამსახურებული, დაავადებული არტისტები კი შიმშილს განიცდიან. ერთი დამსახურებული მსახიობი ვითომ ხუმრობით, მაგრამ გულწრფელად გამომიტყდა: „პურს ვყიდულობ მხოლოდ კვირაობით, როგორც დესერტს, დანარჩენ დღეებში კარტოფილს ვხარშავ და იმით ვიკვებებიო“. სამართალია ესა? რომელმა რევოლიუციამ უკარნახა პატივცემულ გამგეობას ასეთი ბარბაროსობა? ახალი თეატრის შექმნა, დიახ კარგია, მაგრამ ხელოვნურად მოკვლა იმათი, ვინც შიმშილით და ათასი გაჭირვებით ქართული თეატრი მოიყვანეს იმ ზომამდე, როცა მოწაფეებს 700 მანეთს აძლევთ თვეში,—ეს წარმოუდგენელი უსამართლობაა—და თუ გამგეობა ამ გარემოებას სიჩუმით გვერდს აუხვევს, სამართლიანობა მოითხოვს თვით საზოგადოებამ მიაქციოს ამას ყურადღება. ჩვენს არტისტებს ეს უმადურობა არაფრით არ დაუმსახურებიათ. ყოველ შემთხვევაში ტერორის ღირსნი არ არიან! შექმენით ახალი ძალები და ძველები ბუნებრივად ჩამოეცლებიან სცენას. ჯერ ჯერობით კი, სანამ თქვენს სტუდიას ჩხეიძე, დავითაშვილი, აბაშიძე, იმხნელი, შალიკაშვილი, იმედაშვილი და სხ. არ წამოუსწრიათ, თქვენ ამის უფლებას საზოგადოება ვერ გამცემთ.

იყოლიეთ სტუდია როგორც შკოლა, მომზადებული მსახიობები თანდათანობით მოაწოდეთ სცენას და შეავსეთ შეთხელებული მსახიობთა რაზმი; ამჟამად-კი მოიწვიეთ არსებულ მსახიობთაგან დასი და შეუდექით სეზონს, რადგან საქართველოს დედაქალაქში დეკემბრამდე უსეზონოთ დარჩენა შეუძლებელია!

ე. ი. ნარ.

## სოციალური მედიცინის კითხვები.

(საექიმო სასანიტარო საქმის ორგანიზაცია ერობაში).

საექიმო-სასანიტარო საქმის მოწყობის შესახებ ბევრი ლაპარაკია დღეს როგორც ქართველ ექიმთა შორის, აგრეთვე პოლიტიკურ და საპარლამენტო წრეებშიაც. ხალხის ჯანმრთელობის საკითხი არის [illegible] ერთი [illegible] ევრივი და სახელმწიფოებრივი საკითხთაგანი ჩვენი [illegible]. ძალიან ფრიად სასიამოვნოა, რომ მმართველი წრეები და საზოგადო მოღვაწენი ყურადღებით ეკიდებიან ამ საკითხს, მაგრამ რამდენად დიდია ეს საკითხი, იმდენათ უფრო სერიოზულათ უნდა მოვეკიდოთ მას, რომ დაჩქარების გამო არ მოგვივიდეს შემცდარი ნაბიჯების გადადგმა.

საექიმო-სასანიტარო საქმის მოწყობის შესახებ არსებობს ორი შეხედულება: ცენტრალისტური და დეცენტრალისტური. პირველი შეხედულების წარმომადგენელნი ამბობენ, რომ ჯანმრთელობაზე ზრუნვა შეადგენს სახელმწიფოს მოვალეობას და უფლებას და ამიტომ მთავრობამ უნდა მოაწყოს ეს საქმე ისე, როგორც ის ამას დაინახავს საჭიროთო. მეორე შეხედულების წარმომადგენელნი კი აღიარებენ საექიმო სასანიტარო საქმეს, როგორც თვითმმართველობათა ფუნქციას და ამ უკანასკნელს აკუთვნებენ მთელ ძალაუფლებას ამ სფეროში. დეცენტრალისტები არ უარჰყოფენ ცენტრალური ორგანოს საჭიროებას, მხოლოდ მათ სწამთ ისეთი ცენტრი, რომელიც აღორძინდება ადგილობრივი საექიმო-სასანიტარო ორგანიზაციების გაერთიანებით. ამ შემთხვევაში ჯერ იქმნებიან ადგილობრივი მედიკო-სანიტარული ორგანოები და შემდეგ ცენტრი. ცენტრალისტები კი ჯერ ქმნიან ცენტრს და შემდეგ ადგილობრივ ორგანოებს, როგორც მათ აღმასრულებელ დაწესებულებებს.

რუსეთში ორივე ამ მიმართულებათა შორის დიდი ხანია სწარმოებდა ბრძოლა. ამ ბრძოლამ ეხლანდელი ომის დროს მიაღწია თავის განვითარების უმაღლეს წერტილამდე. ცენტრალიზმმა იპოვა თავისი გამოხატულება აკადემიკი რეინის პროექტით ჯანმრთელობის სამინისტროს დაარსებაში. მეორე მიმართულების განსახიერება არის რუსეთის საერობო მედიცინა, რომელმაც შექმნა სრულიად რუსეთის საერობო კავშირი. მთელი საერობო რუსეთი უარყოფით შეხვდა რეინის ბიუროკრატიულ ცენტრალიზმს, რომლის პროექტიც 1913 წლიდან მუშავდებოდა განსაკუთრებულ საუწყებათა შორისო კომისიაში. პიროგოვის სახელზე არსებულ რუს ექიმთა საზოგადოების XII ყრილობამ დაგმო ეს ბიუროკრატიული მზრუნველობა. მიუხედავათ საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულებისა, რეინის პროექტი მაინც წარუდგინეს მეოთხე და უკანასკნელ სახელმწიფო სათათბიროს დასამტკიცებლათ. 1916 წ. სახელმწიფო სათათბირომ უარყო ჯანმრთელობის სამინისტროს დაარსების პროექტი. მთავრობამ ის მაინც დააკანონა 87 სტატიის ძალით. მაგრამ დიდმა რევოლიუციამ ბიუროკრატიასთან ერთად დაამხო ეს ახალი უწყებაც. რაც შეეხება საერობო მედიცინას, მან, მიუხედავათ ათასგვარი ხელოვნური დაბრკოლებებისა, მშვენივრათ დააკმაყოფილა არამც თუ ადგილობრივი მოთხოვნილებანი, არამედ—მთელი იმპერიის მედიკო სანიტარული მოთხოვნილებანიც. ცხადია, განახლებულ რუსეთში საერობო მედიცინის ცენტრალური ორგანო შესძლებდა მთელი სანიტარიის თავის ხელში აღებას.

რუსეთში არსებულ ორივე მიმდინარეობას ჰყავს საქართველოში თავისი ადეპტები. მაგრამ თავიდანვე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში დეცენტრალიზმი გაიმარჯვებს, რადგანაც დემოკრატია გადასწყვეტს ამ საკითხს და დემოკრატია ყოველთვის აღიარებს კულტურულ საქმეების დეცენტრალიზაციას. ამიტომ სასურველია უპირველესად ყოვლისა ყურადღება მიექცეს საექიმო-სასანიტარო საქმეების მოწყობას პერიფერიებში, პროვინციაში და ცენტრალური ორგანოს ფორმის შემუშავება და შექმნა მათ მიენდოს.

ჩვენ თვითმმართველობის ფორმები რუსეთიდან გადმოვიღეთ. დღეს საქართველოში საერობო არჩევნები სწარმოებს იმ წესით, რომელიც რუსეთის განთავისუფლებულმა ერობამ შეიმუშავა. ეს ასედაც უნდა ყოფილიყო, რადგანაც ჩვენ კულტურულათ მჭიდროთ ვართ დაკავშირებული რუსეთთან და ახალი ცხოვრების მოწყობის დროს ნებსით თუ უნებლიეთ რუსეთის მაგალითებით უნდა ვისარგებლოთ, მაგრამ არჩევანზედაც რომ მიდგეს საქმე რუსეთის განახლებულ ერობას უპირატესობა უნდა მივსცეთ ევროპის თვითმართველობების ფორმებთა წინაშე.

როგორც მთელი ერობის სისტემა, ისე სანიტარიის მოწყობაც რუსეთის მაგალითების მიხედვით უნდა ვაწარმოვოთ. რუსეთის საერობო საექიმო სასანიტარო ორგანიზაცია ითვლება სამაგალითოდ მთელი ევროპისათვის. ეს აზრი ნათელჰყო დრეზდენის საერთაშორისო საჰიგიენო გამოფენამ. ნიშნობლივი თვისება რუსეთის საერობო მედიცინისა არის მისი განსაზოგადოებრივება, სოციალიზაცია, თუ შეიძლება ასე ითქვას. მხოლოდ

რუსეთის ერობამ შექმნა ტიპი საზოგადოებრივი ექიმისა, რომელიც ემსახურება საზოგადოებას და არ არის დაინტერესებული კერძო პრაქტიკით. ჩვენმა ნორჩმა ერობამ უნდა გამოიყენოს რუსეთის საერობო მედიცინის მდიდარი და ძვირფასი გამოცდილება საქართველოში საექიმო-სასანიტარო საქმის მოწყობის დროს. ამიტომ საჭიროდ და სასარგებლოთ მიმაჩნია ამ საკითხზე შევაჩერო მკითხველის ყურადღება.

რუსეთში ერობა შემოიღეს 1864 წლიდან. ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში საერობო მედიცინა ბრძოლით იკაფავდა თავის ეკლიან გზას და მიიწევდა წინ საუკეთესო მომავლისაკენ. მან ბევრი შეცდომები განიცადა ამ ხნის განმავლობაში, ბევრი ხელოვნური დაბრკოლებანი გადალახა და დავაჟკაცებული წარუდგა დიდ რევოლიუციას, რომელმაც საშუალება მისცა მას თავისუფლათ ამოესუნთქა და მხნეთ წასულიყო წინ საუკეთესო მომავლისაკენ. საერობო მედიცინის აღორძინების ხანაში ცნობილმა ექიმმა ნ. ი. პიროგოვმა სთქვა: „Земской медицинѣ придется бороться съ невѣжествомъ народныхъ массъ и видоизмѣнять цѣлое ихъ мiровоззрѣнie“. პიროგოვის ეს წინასწარმეტყველური სიტყვები სრულიად გაამართლა საერობო მედიცინამ. ჩვენთვის ფრიად საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორი ორგანიზაციული ფორმები შექმნა რუსეთის საერობო მედიცინამ, რათა ამ ფორმებით ვისარგებლოთ ჩვენში საერობო მედიცინის მოწყობის დროს. განვიხილოთ საგუბერნიო საექიმო სასანიტარო ორგანიზაცია.

საგუბერნიო საექიმო სასანიტარო ორგანიზაცია რუსეთის ერობაში შესდგება შემდეგი დაწესებულებათაგან: 1) პერიოდული საგუბერნიო ყრილობები საერობო ექიმებისა და ერობათა წარმომადგენლებისა. ჩვენს დემოკრატიულ ერობაში ამ ყრილობებზე მონაწილეობა უნდა მიიღონ საშუალო და დაბალ საექიმო პერსონალმა. 2) საგუბერნიო საექიმო-სასანიტარიო საბჭო, 3) სამაზრო საექიმო-სასანიტარო საბჭოები, 4) უბნების საექიმო-სასანიტარო საბჭოები, 5) სანიტარული ბიუროები 6) სანიტარული ექიმები და 7) უბნის საერობო ექიმები.

განვიხილოთ ეს სისტემა ამ უკანასკნელი ინსტიტუტიდან. საერობო უბნის ექიმი არის ბაზისი, საფუძველი მთელი საერობო სასანიტარო ორგანიზაციისა. თუ რომელიმე უბანში არ არის ექიმი, მაშინ არც ნამდვილ სანიტარულ ორგანიზაციის შექმნაზე შეიძლება იქ ლაპარაკი. ამ ბაზისის, უბნის ექიმის ირგვლივ იქმნება სანიტარული ორგანიზაციის საზოგადოებრივი „იაჩეიკა“—უბნის საექიმო სასანიტარო საბჭო. რა პრინციპზედაც ეს „იაჩეიკა“ იქნება აშენებული, იმ პრინციპზე აშენდება მთელი სისტემა, ყველა ცენტრები, როგორც სამაზრო და საგუბერნიო, აგრეთვე სახელმწიფოებრივიც. ყველა ერობაში ერთნაირი არ იყო ეს მარტივი სანიტარული ორგანიზაცია. ერთ და იმავე ერობაშიდაც სხვადასხვა დროს დიდ ცვლილებებს განიცდიდა იგი.

მოსკოვის ერობა ითვლებოდა საძაგალითოდ მთელი რუსეთისთვის და ამიტომ მე უმთავრესად ამ გუბერნიის ერობის მაგალითებით ვსარგებლობ. საჭიროდ ვთვლი უცვლელად მოვიყვანო აქ ზოგიერთი მუხლები მოსკოვის ინსტრუქციიდან.

ექიმი ნ. რუხაძე.

(შემდეგი იქნება).

## საყალდებულო დადგენილება

(შინაგან საქმეთა სამინისტროსი).

1) ღვინით და მაგარ სასმელებით ვაჭრობა, აგრეთვე ლუდი და სასმელ თაფლით, როგორც ნარდათ ისე წვრილათ სწარმოებს ყველა არსებულ სააქციზო დადგენილებათა ასრულებით, ქალაქის საბჭოს მიერ ნება დართულია.

2) ყველა სასმელების რაოდენობა, რომელიც პატრონებს საწყობებში აქვთ, უნდა იცოდეს და აწერილი ქონდეს ქალაქის თვითმართველობას, და ამ სასმელების რაოდენობის ცვლილება აღნიშნულ იქნება ქალაქის საბჭოს აგენტის მიერ, რომელიც იმოქმედებს დამტკიცებულ ინსტრუქციით.

3) სასმელების ვაჭრობის ნებართვის მიცემის დროს ქალაქის საბჭო ხელმძღვანელობს იმით, თუ სად იხსნება სავაჭრო, როგორი შენობა იქნება და იმ რაიონში რამდენი სასმელის სავაჭროა.

4) სასმელებით მოვაჭრენი ვალდებული არიან წარადგინონ ქალაქის თვითმართველობაში სასმელებზე არსებული ფასები, რომლის მომატებაც შეუძლიანთ მხოლოდ საბჭოს ნებართვით.

5) ყველა იმ სასმელებზე, რომელიც ამ დადგენილების პირველ მუხლში არის მოხსენებული, წესდება შემდეგი გადასახადი: ბოთლ ღვინოზე 30 კაპ., ლუდსა და სასმელ თაფლზე 20 კაპ., ბოთლ შამპანიურზე, კონიაკზე, სპირტზე და სხვა მაგარ სასმელებზე ბოთლზე ორი მანეთი. პრეისკურანტში შედის აგრეთვე ეს ზემო ხსენებული გადასახადი.

6) გადასახადი უნდა შეტანილი იქნას ყოველი თვის 1 და 15 რიცხვს ქალაქის კასაში. მაგარ სასმელების შემოზიდვის დროს ქალაქში გადასახადს იხდიან ან მაშინ, როცა მიიღებენ „ნაკლადნოის“ ან და შემოზიდვის ნებართვის მიცემის დროს გადაახდევინებენ.

7) ყველა შემოსაზიდი მაგარი სასმელები ქალ. თფილისში უნდა იქნას გამოგზავნილი ქალაქის საბჭოს სახელზე.

8) ქალ. საბჭოს ნებართვას ძალა აქვს ქალ. თფილისში, სად. ნავთლუღში, კახეთის და საქართველოს რკინის გზებზე. სასმელების შემოტანა შეიძლება მხოლოდ ქალ. საბჭოს ნებართვით. ქალაქში შემოტანის დროს ყველანი ვალდებულნი არიან სათანადო მოწმობები წარუდგინონ მაგარ სასმელების მეთვალყურე მოხელეებს.

9) სასმელების დალევით ვაჭრობისნება დართული აქვთ იმ კლუბებს, საზოგად. სასადილოებს, კოოპერატიულ სასადილოებს და იმ რესტორანებს, რომელთაც ჰქონდათ 1 სექტემბრამდე საწარმოვო მოწმობა პირველ ხარისხისა საბჭოს ნებართვით.

სხვა დაწესებულებებში ნება აქვთ იმათ, ვისაც ექნებათ მოწმობები ქალაქის თვითმართველობისაგან.

10) ღვინო, რომელიც შემოტანილი იქნება ქალაქში და თუ აღმოჩნდება, რომ პატრონმა დაარღვია სავალდებულო დადგენილება ჩამოერთმევა მას ღვინო. გადავა ქალაქის ღვინის საწყობის საკუთრებათ. ამ დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავენი მიცემულ იქნებიან პასუხის გებაში სასჯელთა დებულებათა 29 მუხლის ძალით.

ეს დადგენილება ძალაში შედის დღიდან გამოქვეყნებისა.

## რუსეთის ცხოვრება

დონის ოლქში.

როგორც უკრაინაში გეტმანის გამეფება მოხდა მსხვილი მემამულეების შემწეობით, აგრეთვე დონის ოლქშიაც მემამულეებმა გაამეფეს გენერალი კრასნოვი.

ის აღჭურვეს უფლებებით ოლქში და დაავალეს მას გაეწმინდა ოლქი ბალშევიკებისაგან. კრასნოვი შეუდგა დავალების ასრულებას, მოუყარა თავი კაზაკების ჯარს და დაიწყო შეტევა ბალშევიკებზე ნოვოჩერკასკიდან. ამ დროს უკრაინაში უკვე მოსული იყო გერმანელების ჯარი და კრასნოვმაც გერმანიის მთავარ სარდალს უკრაინაში მიმართა თხოვნით დახმარებოდა მას ოლქის გაწმენდაში. თუ რატომ არ მიმართა კრასნოვმა გენ. ალექსეევის ჯარს ყუბანის ოლქში გერმანელების ნაცვლად ამის შესახებ შემდეგს გადმოგვცემენ.

ალექსეევი მაშინ ისეთ რეალურ ძალას არ წარმოადგენდა, როგორიც იყო საჭირო ოლქის გასაწმენდათ და აგრეთვე—კრასნოვი დარწმუნებული იყო იმაში, რომ ალექსეევის ჯარი მალე დაიშლებოდა და აქტიურ მოქმედებას თავს გაანებებდა. ამისათვის კრასნოვმა არჩია გერმანელების მოწვევა და შეეცადა დახმარებით გაეწმინდა ოლქი, რომ შემდეგ დონიდან გადასულიყო ჩრდილოეთ კავკასიაში გერმანელების ჯარით და მოვლინებოდა განმათავისუფლებლათ ყუბანის და თერგის ოლქებს.

გერმანელებმა აღუთქვეს დახმარება და დაიწყეს წინ წამოწევა ტაგანროგზე.

აქ უკრაინელებმა მოატყუეს გენ. კრასნოვი. ტაგანროგი და როსტოვი ოცდა ათი წლის წინეთ ეკატერინოსლავის გუბერნიის ნაწილს შეადგენდენ, ამისათვის უკრაინას აზრათ ჰქონდა ეს ქალაქები ისევ დაებრუნებია, მაგრამ ოფიციალურათ ამის შესახებ არაფერს ამბობდენ. სწორეთ ამ დროს სთხოვა გერმანელებს დახმარება. უკრაინის მთავრობამ რომ გაიგო ეს, წინადადება მისცა გერმანიის მთავარ-სარდალს—აეღო ტაგანროგი და როსტოვი, გამაგრებულიყო იქ, რომ შემდეგ შესაძლებელი ყოფილიყო ოფიციალურათ მოეთხოვათ ეს ქალაქები უკრაინისათვის. გერმანელებიც ასევე მოიქცნენ და ეს ქალაქები დაიკავეს.

აი როგორ აიღეს გერმანელებმა ტაგანროგი და როსტოვი: 30 აპრილს ტაგანროგის საბჭოს სხდომა ჰქონდა, სადაც უნდა გამოემუშავებიათ გეგმა პირველ მაისობის დღესასწაულობისა. ამ დროს მოვიდენ გერმანიის ჯარიდან პარლამენტიორები და წინადადება მისცეს საბჭოს თავმჯდომარეს დაუყონებლივ დაეტოვებიათ ტაგანროგი, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდენ შეტევის დაწყებით. ბალშევიკები მომზადებული არ იყვნენ და ცოტა კამათის შემდეგ მიიღეს ეს წინადადება. ისე უეცარი იყო ბალშევიკებისათვის ქალაქის დაცლა, რომ ჩვეულებრივათ ქალაქის აწიოკება ვერ მოახერხეს და საჩქაროდ დასტოვეს ის. თითქმის ფულის გატანაც ვერ მოასწრეს სახელმწიფო ხაზინიდან.

პირველ მაისს, დილის 11 საათზე შემოვიდენ გერმანელები მუსიკით. ქალაქის ბურჟუაზია პურ-მარილით შეხვდა. იმის მაგიერ, რომ პროლეტარიატს საერთაშორისო დღესასწაული გადაეხადა, გერმანიის ჯარმა ქალაქის აღება იდღესასწაულა და ბურჟუაზიამ მას სადილი გაუმართა.

ტაგანროგიდან გერმანელებმა როსტოვისაკენ გაიწიეს, მაგრამ როსტოვის ბალშევიკებმა ქალაქის ნებით დატოვება აღარ ისურვეს და საომრათ მოემზადენ. გერმანელებს გვერდში ამოუდგა ხუთასი კაცისაგან შემდგარი აფიცერთა „დრუჟინა“ და გაიმართა ომი. ხუთი დღის ბრძოლის შემდეგ როსტოვი ბლშევიკებმა დასტოვეს და ქალაქიდან გავიდენ, თან გაიტანეს თუ რაიმეს გატანა შეიძლებოდა. გერმანელებმა ქალაქში შესვლის თანავე წინადადება მისცეს აფიც. რაზმს, ან იარაღი დაეყარათ, ანდა ქალაქიდან გასულიყვნენ. აფიცრებმა ქალაქი დატოვეს და ალექსეევის ჯარში გადავიდენ. ამ დროს ალექსეევის ჯარი უკვე რეალურ ძალას წარმოადგენდა. გერმანიის ჯარის სარდალმაც თურმე სცადა ალექსეევთან კარგი განწყობილება დაეჭირა და მასთან ერთად გაეწმინდა ჩრდილოეთ კავკასია ბალშევიკებისაგან, მაგრამ ალექსეევმა ეს წინადადება არ მიიღო და გერმანელებიც როსტოვში გამაგრდენ.

აქედან იწყება უკრაინასა და დონს შორის უთანხმოება ამ ორი ქალაქის შესახებ. უკრაინამ როსტოვის დათმობა აღუთქვა დონს და ტაგანროგი კი თავისთვის აირჩია, მაგრამ გენ. კრასნოვი ამაზე აღარ დათანხმდა და დღეს როსტოვ-ტაგანროგში მხოლოდ ნემცები მეფობენ. როსტოვში ნემცების ხელშია რკინის გზა და მდინარე დონი თავისი გემებით, თვით ქალაქს გენ. კრასნოვი განაგებს. ტაგანროგში კი ნემცები არიან და ყოველივე ძალა უფლებაც მათ ხელში არის. ტაგანროგში ნემცების წინადადებით მოხდა ქალაქის ახალი არჩევნები.

ს.-დ-მა გაიყვანეს 39 ხმოსანი, კადეტებმა 41 და ს.-რ-მა 7.

ქალაქის თავად ს.-დ. არჩეული, საბჭოს თავმჯდომარეთ კადეტი.

როსტოვში და ნოვოჩერკასკში კი კრასნოვმა გარეკა ძველი თვითმართველობები და ჯერ ახალი არჩევნები აღარ მომხდარა.

კრასნოვის ჯარი დღითი დღე მატულობს და ყველა ოლქის მიდამოებს სწმენდს ბალშევიკებისაგან. თუმცა უკვე ხუთი თვე გადის, რაც კრასნოვმა მოქმედება დაიწყო ოლქში, მაგრამ, ჯერაც არ დასრულებულა ის ოპერაციები, რომელსაც კრასნოვი აწარმოებს ბალშევიკების წინაამდეგ. დონის ოლქის მთავრობა, რომელიც შესდგა კრასნოვის მეოხებით ოლქში წმინდა ბურჟუაზიულ მონარქისტულია. სანამ კრასნოვი გერმანელებს მოიწვევდა, მანამდე მთავრობაში კადეტებიც შედიოდენ, მას შემდეგ კადეტები მთავრობიდან გავიდენ.

ს. დ. პარტიის მდგომარეობა ოლქში ძლიერ ცუდ პირობებშია. პარტიული გაზეთები დღემდე გამოდიოდა ოლქში, დღეს კი სამუდამოდ დახურეს ის. ბალშევიკების მოსვლამდე როსტოვში გამოდიოდა ს. დ. გაზეთი „მუშათა საქმე“, ბალშევიკებმა ის დახურეს, შემდეგ გამოვიდა „მუშათა სიტყვა“, რომელმაც იარსება ორი კვირა და შემდეგ დახურულ იქნა. ამის შემდეგ გამოუშვეს „მუშათა ხმა“, რომელმაც მოასწრო რა გამოსვლა ბალშევიკებმა ის იმ წამსვე დახურეს და ქუჩაში გამყიდველებს წაართვეს. ამის შემდეგ ბალშევიკებმა დახურეს სტამბა და ნება არ მისცეს ს. დ. პარტიას რაიმე გაზეთი გამოეშვათ.

კრასნოვის გამეფების შემდეგ „მუშათა საქმის“ გამოცემა განახლდა, მაგრამ კრასნოვმა ის ერთი თვის შემდეგ დახურა. ისევ გამოუშვეს მეორე გაზეთი „მუშათა სიტყვა“, რომელმაც სამოც ნომრამდი იარსება და უკანასკნელათ ის დახურული იქნა როსტოვის გრადონაჩალნიკის მიერ, რომელმაც ასეთი დადგენილება გამოუგზავნა ს.-დ. პარტიას: „ვინაიდან თქვენი გაზეთი ყოველ დღე განაგრძობს მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრებას, ატამანის განკარგულებით ის დახურულია სამუდამოთ და თქვენ ნება არ გაქვთ პარტიული გაზეთი გამოუშვათ მანამდე, სანამ ოლქში სამხედრო მოქმედება იქნება. ამასთან ერთად წინადადებას ვაძლევ მილიციის უფროსს დაუყენოს დარაჯი პროფესიონალური კავშირების სტამბას, რომ შიგ გაზეთი ჩემს ნება-დაურთველად არ დაიბეჭდოს“ ამის შემდეგ მოხდა დონის კომიტეტის კრება, რომელმაც გადაწყვიტა გადაიტანოს გაზეთის გამოცემა ტაგანროგში, სადაც კრასნოვის ძალა უფლება აღარ ვრცელდება და თუ ეს არ მოხერხდა, იმ შემთხვევაში გაზეთის გამოცემა განაგრძონ არა ლეგარულად.

დონის ოლქში დღეს ძალიან ფეხ მოკიდებულია მონარქიული მოძრაობა. თითქმის ყოველ დღე შეხვდებით როსტოვში და ტაგანროგში მონარქიულ მოწოდებას, რომელსაც ავრცელებენ ქუჩებში და აკრავენ კედლებზე. ყველა ეს მოწოდებანი ხელ მოუწერელი გამოდის და საზოგადოებამ არ იცის თუ ვინ სცემს მას.

ნიკოლოზ მეორის მოკვლის შემდეგ ოლქში გამოვიდა მოწოდება, რომლითაც მოუწოდებდენ რუსის ხალხს შეკავშირებულიყო და დაეხსნათ ხელმწიფე იმპერატორის ცოლშვილი ებრაელებისაგან და აღედგინათ რომანოვების ტახტი. ოლქის ყველა ქალაქებში გადაიხადეს პანაშვიდები. ერთი ასეთი პანაშვიდი ტაგანროგში მოაწყო აფიცერთა კავშირმა და გამოუგზავნა მოწვევის ბარათი ქალაქის თავს და საბჭოს თავმჯდომარეს, რომ დასწრებოდენ ამ პანაშვიდს. ქალაქის თავი როგორც სოციალდემოკრატი პანაშვიდს არ დაესწრო თავმჯდომარე (კადეტი) კი წავიდა. ამან გამოიწვია ქალაქის საბჭოში სოციალისტების შეკითხვა თავმჯდომარისადმი. ეკითხებოდენ: როგორ დაესწრო ის პანაშვიდს, როგორც თავმჯდომარე, თუ, როგორც კერძო პირი. თავმჯდომარემ აჩვენა შემკითხველებს მოწვევის ბარათი და დასძინა: დასკვნა თქვენ თითონ გამოიტანეთო. ბარათს ჰქონდა სათაურათ შემდეგი წარწერა: ტაგანროგის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს. ამით დამტკიცდა, რომ ის დაესწრო პანაშვიდს, როგორც თავმჯდომარე. სოციალისტებმა ცოტა თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს საპროტესტო რეზოლიუცია არ გამოეტანათ, ვინაიდან შიში ჰქონდათ თვითმართველობის გარეკის და მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა სხდომამ შეკითხვა თავმჯდომარისადმი, შეიტანა ის ოქმში და გადადის შემდეგ საკითხებზე. ასე გათავდა ეს უბედური შეკითხვა, როგორც მას კადეტებმა უწოდეს.

როგორი შეხედულებაა იქ საქართველოს შესახებ? ამ საკითხის შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი: ყველა ის წრეები, რომლებიც ანტი-გერმანულ პოლიტიკას აწარმოებენ, რასაკვირველია, ჩვენზე კარგს არაფერს ლაპარაკობენ. ასეთ წრეებს ეკუთვნიან დონის ოლქში თითქმის ყველა სოციალისტური პარტიები, რომლებიც ყოველ საშუალებას ხმარობენ როგორმე ხელი შეუშალონ გერმანელების გამაგრებას ოლქში და საზოგადოთ რუსეთში.

კ. მანჯგალაძე.

## წითელ ჯვრის საზოგად. დამფუძნებელი კრება.

8 სექტემბერს 1 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა საქართველოს რესპუბლიკის წითელ ჯვრის საზოგადოების დამფუძნებელი კრება. დარბაზი სავსე იყო ხალხით. იყვნენ მთავრობის წარმომადგენლნი, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებიდან და სხვ. კრებას დაესწრო მთავრობის თავმჯდომარე ნ. ნ. ჟორდანია და სამხედრო მინისტრი გიორგაძე. კრება გახსნა წითელ ჯვრის რწმუნებულმა ექ. მ. ზანდუკელმა, რომელმაც თავის სიტყვის შემდეგ შეიტანა წინადადება აერჩია კრებას თავმჯდომარე. ასახელებს ნოე ჟორდანიას რომელიც საპატიო მიზეზების გამო უარს აცხადებს თავმჯდომარეობაზე. ერთხმათ არჩეულ იქნა თავმჯდომარეთ გრ. გიორგაძე, მდივნათ გრ. ნ. დიასამიძე. ექ. მ. ზანდუკელი ქართულად კითხულობს ვრცელ მოხსენებას წითელი ჯვრის საზოგადოების ორგანიზაციის შესახებ. აღნიშნავს, თუ რა უნდა დაისახოს მიზნათ საქართველოს წითელ ჯვრის საზოგად. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ყოველგვარი ქონება რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოებისა, რომელიც იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე, გადაეცემა საქართველოს წითელ ჯვრის საზოგადოებას. კრების დასასრულ მოხდა არჩევნები გამგეობის და სარევიზიო წევრებისა: გამგეობაში აირჩიეს: მ. მგალობლიშვილი, თ. ქარცივაძე, ექ. მამათავრიშვილი ალ. დიასამიძე, ან. დეკანოზიშვილი, ივ. გომართელი, გრ. დიასამიძე, ექ. მ. ზანდუკელი, გ. ყაზბეგი, მინ. ტოროშელიძე, ნინო ნაკაშიძე, აპ. ურუშაძე, კანდიდატებათ ექ. იოს. ცინცაძე, მარ. ჩხეიძე, ნ. ჯაყელი, სარევ კომისიაში ზაქ. ჩიჩუა, შ. მიქელაძე. კანდიდატებათ არჩ. ჯაჯანაშვილი და სხ.

## შალვა (იოსებ) ოქრუაშვილი

მსხვერპლი მსხვერპლს მისდევს.

ს. გორდში 28 აგვისტოს ბანდებისაგან გულგანგმირული იქნა შ. ოქრუაშვილი, 23 წლის ნორჩი სიცოცხლით სავსე, ბრძოლაში გამოწრთობილი პორუჩიკი და ამასთან შეურყეველი ენერგიის პატრონი. ის საუკეთესო ხელმძღვანელი იყო მე 2 პოლკის ტყვიისმფრქვეველი როტისა, რომელიც სამტრედიის სახალხო გვარდიის რაზმთან ერთად იყო სოფ. გორდში.

შალვა თავის მოვალეობას პირნათლათ ემსახურებოდა. მას ყველა სიყვარულით და თანაგრძნობით ეპყრობოდა. მისმა სიკვდილმა დაღონა ყველა, ვინც კი მას იცნობდა და მასთან იყო.

მშვიდობით, ძვირფასო შალიკო, შენი ხსოვნა უკვდავი იქნება ჩვენს მოგონებაში.

კ. კვერნაძე.

## ბორჯომის მამული

(გაგრძელება).

ბორჯომის მამულის ტყის მრეწველობას საფუძვლად ედვა შემდეგი სახელმძღვანელო წესები: 1) ის ტყე, რომელიც მამულისათვის უზარალოთ მამულში იჭრებოდა, მიდიოდა მამულის საზერხ ქარხნებში და მზადდებოდა სხვადასხვა ხის მასალა. 2) მოჭრილი ტყე მხოლოდ და მხოლოდ მამულის მმართველობას უნდა ეყიდნა მამულის ქარხნებისათვის. სასტიკად აღკრძალული იყო ტყის გარეშე პირებისადმი მიყიდვა, რის გამო მთელი რიგი მყიდველებისა და გადამყიდველ-სპეკულიანტებისა, რომელიც ტყის პატრონ და მომხმარებლის შუა იდგა, განზე რჩებოდენ და ტყის მასალა უფრო იაფად იყიდებოდა. ამასთან მამულის ქარხნებსაც საკმაო ტყე ჰქონდა სამუშაოდ. 3) აქ ტყის მრეწველობას კომერციული მიზანი არ ჰქონია და ამიტომ ის შემოსავალი, რომელიც მას მოჰქონდა, ისევ ტყის მრეწველობის გაუმჯობესობა-გაფართოვებას ხმარდებოდა და ყოველ წლობით ახალის და ახალის წარმოებით ღრმავდებოდა ბორჯომის ტყის მრეწველობა. დღეს-დღეობით ბორჯომი ჩვენს რესპუბლიკაში ერთადერთი ალაგია, სადაც სატყეო კულტურა მაღალ საფეხურზე სდგას. დიდი ყურადღება იყო მიქცეული ტყის მეურნეობის მაჩვენებელ მხარეზედაც და ამიტომაც უმდიდრესი და უდიდესი სატყეო მუზეუმია მორთული, სადაც დიდათ მდიდარი კოლექციებია ტყის საქმის თითქმის ყველა საკითხებისა. ყოველ წლობით იმართებოდა ექსკურსიები, პოპულიარული ლექციები, რომ ხალხს ტყის დაფასება შესძლებოდა, მისი მოვლა და გონივრული სარგებლობის უნარი გაღვიძებოდა.

მაგრამ რევოლიუციის პირველმა ხანამ, ხანამ რღვევისა, აქაც ყოველივე ძველი დაარღვია-დაანგრია და მამულს მოუსპო ის ზემო ჩამოთვლილი ძირითადი სახელმძღვანელო წესები, რომლითაც ის აფართოვებდა და ანვითარებდა ტყის საქმეს. ამას შედეგად მამულის სატყეო საქმის კრიზისი მოჰყვა. როცა გლეხობამ ჩვენი ტყის მასალით სხვასთან დაიწყო ვაჭრობა და ტყე გახდა სპეკულიაციის საგანათ, ჩვენი ქარხნები, რომელიც ვერ აყვებოდენ სპეკულიანტების ფერხულს, დარჩა უმასალოთ. და მიუხედავად იმისა, რომ ქარხნები მეტად საზარალონი იყვნენ, მუშაობა არ შეუწყვეტიათ, რადგან მათი საზოგადო მნიშვნელობა გამგეობისათვის ცხადი იყო, მეტადრე, რომ ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე არც ერთი ქარხანა არ მუშაობს.

ამასთან ერთად, მუშების საკითხიც ძლიერ აშწვილია. ერთის მხრივ რა კი თავიდანვე მამულსა და მუშებს შორის არ იყო ადამიანი (მე სახეში მყავს გამგე), რომელსაც მათის ინტერესების მორიგება შესძლებოდა და მეორეს მხრივ საერთო ფინანსიური და სასურსათო ანარქია. აი მიზეზები, რომელთაც უმთავრესად გაალიზიანეს მუშები და ერთის მხრივ დიდის მოთხოვნილებით და მეორეს მხრივ მათი მაწარმოებელ ენერგიის ძლიერ დასუსტებით დააჩქარეს ქარხნების კრიზისი. გლეხობის ანარქიული გამოსვლა ტყის გაკაფვის მიზნით ალაგმული იქმნა იმ რაზმის მიერ, რომელიც დაარსდა და ეხლა იშვიათად თუ გაბედვენ ტყის განადგურებას.

ეხლა, როცა დადგა რევოლიუციის მეორე ხანა—ხანა ახლის შენებისა და აგებისა, არც ბორჯომის მამული, როგორც დიდ მნიშვნელოვანი რესპუბლიკისათვის არ უნდა იყვეს დავიწყებული და მთავრობის უახლოეს მზრუნველობის ქვეშ მოჰყვეს. მთავრობამ ერთის მხრივ უნდა მოსპოს ის პირობები, რომელიც ტყის მრეწველების კრიზის მიზეზია და მეორეს მხრივ გააფართოვო გაადიდოს ის მრეწველობა, რომლის საძირკველი მაგრად არის აქ ჩადგმული.

პირველი მიზანის მისაღწევად საკმარისია 1 მილ. ფონდი, ხოლო მეორე მიზანის მისაღწევათ საჭიროა, რომ მთავრობამ 3 მილიონამდე გაიღოს.

ფულის გარდა უნდა იყვეს შემდეგი ზომები მიღებული: 1) დაუყონებლივ უნდა მოისპოს ტყით თავისუფალი ვაჭრობა და მთელი ტყე ქარხნებში უნდა იყვეს მიზიდული, ხოლო გლეხები უნდა ილებდეს გადმოზიდვისათვის სამართლიან ქირას. (უნდა ითქვას, რომ ეს საქმე არ იყო და არც ეხლა არის მოგვარებული). 2) არც ერთი ორგანიზაცია არ უნდა ერეოდეს ქარხნების სააღმინისტრაციო და სატეხნიკო მხარეებში. 3) აუცილებლათ უნდა იყვეს შემოღებული სხვათაშორის ნარდათ მუშაობა, და 4) ის, რაც ვსთქვი, როცა 1 მილიონი მანეთის ფონდის საჭიროების აზრი გამოვსთქვი მრეწველობის კრიზის გადასატანად საჭიროა მუშების და გლეხების თავის დროზე სამუშევარ კუთვნილ ფულით დაკმაყოფილება.

შ. იოსელიანი.

(შემდეგი იქნება).

## საჭიროა მეტი ყურადღება

5 სექტემბერს ნაშუადღევის 2 საათზე გავიარე ჩერქეზიშვილის ქუჩაზე.

ქალაქის წყლის გამყვანთა სახელოსნოს შენობის კედლის ქვეშ, ჩერქეზოვის ქუჩის მხრით იწვა ორი ავადმყოფი, ერთი ღრმათ მოხუცებული და მეორე კი შუა ხანში შესული. გამვლელნი აქ იყრიდნენ თავს, დახედავდნენ [illegible] ნევით მიეშურებოდნენ [illegible].

ჩამოვიარე [illegible] იმავე ალაგას დავინახე იგივე სურათი, მაშინვე წაველ მეცხრე კომისარიატში და შევატყობინე მორიგეს. მან მიპასუხა, რომ მაგის შესახებ უკვე დავილაპარაკეთ სადაც ჯერ არს და დაგვპირდნენ „კარეტის“ გამოგზავნას და ავადმყოფების წაყვანასო. მორიგე ჩემ იქ ყოფნის დროსაც დაილაპარაკა ტელეფონით და კიდევ შეპირდენ მათ წაყვანას. მე დაკმაყოფილებული წამოვედი. მეგონა ავათმყოფებს მალე წაიყვანენ საავადმყოფოში.

დაახლოვებით საღამოს რვა საათზე კიდევ გავიარე იმავე ქუჩაზე, ავათმყოფნი ისევ იქვე ეყარნენ.

კიდევ წაველი კომისარიატისაკენ ტურგენიევის ქუჩ. კუთხეში შევეხეჩე მილიციონერს, რომელსაც ელაპარაკებოდენ რკინის გზის მოხელე და ერთი ქალი, ქალაქის სასანიტარო გამგეობის გულგრილობაზე და უმოქმედობაზე.

მილიციონერს შევეკითხე—იცის თუ არა მან უპატრონო ავადმყოფები რომ ქუჩაში ყრიან. მანაც მწუხარებით ჩააქნია ხელი და მითხრა. რა ვქნათ, ჩვენ ხომ ვერ ავიკიდებთ, ვატყობინებთ და პატრონი არავინ არის, სასანიტარო ეტლს არა გზავნიანო“.

წაველ მეცხრე კომისარიატში. კომისარიატის იმავე მორიგეს მოვახსენე იგივე ავათმყოფები იქვე ყრიან მეთქი.

მორიგემაც ჩააქნია თავი და მიპასუხა: „რა ვქნათ, არ გვიგონებენ და რა ვუყოთო“.

მორიგეს ვთხოვე, რომ ნება მოეცა კომისარის ნახვისა. რაც მან დაუყონებლივ ამისრულა.

ბ. კომისარს ავუხსენი ზემო მოყვანილი სურათი. პასუხად კომისარისაგანაც მივიღე, რომ სასანიტარო გამგეობა არავითარ ჩვენ განკარგულებას ყურადღებას არ აქცევსო.

კომისარმა მითხრა ტელეფონის ნომერი სანიტარული გამგეობისა.

მივედი ტელეფონთან და გამოუძახე № 39.

სამწუხაროდ, არ მიკითხავს თუ ვინ მელაპარაკებოდა და მასაც ავუხსენი საქმის ვითარება.

მან მკითხა ჩემი გვარი და სამსახური. აუსრულე თხოვნა და დაუმატე, რომ აგრეთვე ვარ წევრი მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსი. და თუ საჩქაროთ არ გამოგზავნით სანიტარებს, სხვა ზომებს მივმართავ მეთქი. ამ სიტყვების გაგონებაზე მან მიპასუხა, რომ იგინი ვერ ასდიან ავადმყოფების ზიდვას, რადგანაც მათ აქვთ მხოლოდ ერთი „კარეტა“ და ყავთ ერთი ჯაგლაგა ცხენი, მთხოვა აგრეთვე რადგან მე მ. და ჯ. კაცთა საბჭოს წევრი ვარ, მომეხდინა რაიმე გავლენა „სადეზინფექციო კამერაზე“, რათა მათ ჩქარა გამოეგზავნათ სანიტარები და ეტლი. და შემპირდა სულ ცოტა ხანში ექიმის გამოგზავნას.

საჭიროა მეტი ყურადღება ქალ. თვითმართველობისაგან და ნამეტნავათ სასანიტარო გამგეობისაგან, რადგანაც სხვადასხვა ავადმყოფობა მძვინვარებს. ამასთანავე ერთი რამ მაკვირვებს: ნუ თუ კომისარიატის მოხელეების ბრძანება სასანიტარო გამგეობის მიერ ამნაირ შემთხვევაში არ უნდა იყოს შესრულებული? ათის ნახევარზე კვლავ გავიარე მათ დასათვალიერებლათ.

როგორც გადმომცეს, ავადმყოფები თეთრ ხალათიანებს წაეყვანათ.

ზაქარია ჟურული.

## ფოთის ნავთსადგურის მუშათა შორის

თფილისის გუბერნიის შრომის კომისარმა ამხ. ელბაქიანმა, რომელიც ფოთში იყო მუშებსა და შავი ქვის მრეწველთა ფირმებს შორის, უთანხმოების მოსაგვარებლათ შემდეგი გადმოგვცა: უპირველესად უნდა აღვნიშნო ის სასიამოვნო ცვლილება, რომელსაც ადგილი ქონდა უკანასკნელი კვირის განმავლობაში ფოთის ნავთსადგურის დამტვირთავთა შორის. არსებული კერძო დამტვირთავთა არტელები, რომლებიც კონკურენციას უწევდენ ერთმანეთს და ამით ხელს უშლიდენ მუშათა ორგანიზაციების გაძლიერებას, უკანასკნელ დროს შეერთდენ ერთ ძლიერ პროფესიონალურ კავშირში, სადაც ირიცხება 600 წევრამდე. ამ კავშირს სათავეში უდგანან ენერგიული და მუშათა მოძრაობაში გაწრთვნილი მოწინავე ამხანაგები.

დასახელებულმა კავშირმა მთავარი ყურადღება მიაქცია სასურსათო საქმის მოწესრიგებას; ახლო მომავალში კავშირი ფიქრობს გახსნას თავისი სასადილო, ფურნე და სხვა. ჩვენის აზრით, ეხლანდელ დროში მთავარი ყურადღება სასურსათო ორგანიზაციას უნდა მიექცეს და ამიტომ ფოთის ამხანაგების ამ მხარის მთავარი ყურადღების მიქცევას, ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით. მაგრამ

თუ მთავრობამ მათ დახმარება არ აღმოუჩინა, მუშები თავიანთი, ჯერ კიდევ სუსტი ძალით, ვერ შესძლებენ საქმე სასურველად მოაგვარონ.

უკანასკნელ თვეში გერმანიის ფირმები განუწყვეტლივ ყიდულობდენ- შავ ქვას. ეხლა იტვირთება კიდევ სამი გემი, ამ გემებს შავ ქვას გარდა კიდევ მიაქვთ თაფლი, მატყლი და სხვა.

სანამ გერმანელთა ფირმები დაარსდებოდენ შავიქვის დამტვირთავები, უკანასკნელ დროში გემებისა და ვაგონების შავი ქვით დატვირთვა—დაცლისათვის განსაზღრულ ფასს არ იღებდენ—არამედ მორიგებით—გერმანიის ფირმების დაარსების შემდეგ საქმის ვითარება შეიცვალა: შრომის სამინისტრომ დაადგინა შემდეგი ფასები: 1) საწყობიდან ვაგონის შავი ქვით დატვირთვა და ვაგონიდან საწყობში 7 საჟენის მანძილზე 750 ფუთის დაცლა ეღირება 30 მანეთი; 2) „მოლიდან“ გემების დატვირთვა და 1 და მე-2 ლიანდაგზე მდგარი ვაგონების გაცლა—37 მან. 50 კ. 3) საწყობიდან მეორე ლიანდაგის იქეთ მდგომ ვაგონის დატვირთვა-დაცლაში ფუთზე 7 კაპ. ესე იგი, 750 ფუთიან ვაგონში—52 მან. 50 კაპ. ამ ფასების დადგენის დროს, შრომის სამინისტროს წარმომადგენელი ფიქრობდა, რომ მუშები 8 საათის განმავლობაში დატვირთავენ ან დაცლიან არა ნაკლებ ერთი ვაგონისა. მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ იმ ტეხნიკურ პირობებში და უორგანიზაციობით, რომლებსაც ეხლა ადგილი აქვს მუშებში, ზევით დასახელებულ ნორმას მუშებში ვერ შეასრულებენ და სწორეთ ამით აიხსნება მათი 15 აგვისტოს მოთხოვნილების წამოყენება.

როცა გავეცანით პირველი მოთხოვნილების საგნების ფასებს ფოთში და როცა დავინახე, რომ პურესა და ხორცის ფასები ივლისის შემდეგ 75—100 პროცენტით მომატებია, მუშები კი ამაზე ბევრათ მეტს თხოულობდენ, მე განუცხადე მხარეებს, რომ შრომის სამინისტრო ჩაერევა ამ საქმეში მაშინ, თუ ისინი იცნობენ სამ შემდეგ პირობებს: 1) პირველი საჭიროების საგნებზე ფასების მომატებას; 2) რომ მუშები თხოულობენ ნამეტანის მომატებას და 3) ხელშეკრულობის აუცილებლობას, რომელიც დროებით მოაწყობს მუშების ურთიერთ შორის დამოკიდებულებას.

ეს პირობები მხარეებმა მიიღეს და ჩვენ შევუდექით ახალი ფასების დაწესებას.

მუშები თავიანთ მოთხოვნილებას სიძვირით ხსნიდენ და ამიტომ თხოულობდენ ვაგონზე 18 მანეთის მომატებას. ფირმების წარმომადგენლნი არ უარყოფდენ სიძვირეს, მაგრამ სჩიოდენ იმაზე, რომ მუშები ფაქტიურად ოთხ საათს მუშაობენ, მიტომ იღებენ ასე ცოტასო და სხვა; ერთი სიტყვით, ლაპარაკობდენ იმას, რასაც ეხლა საერთოდ მწარმოებელნი ლაპარაკობენ: მუშები გაზარმაცდენ, ცუდათ მუშაობენო.

თუმცა ფოთისა და ჭიათურის დამტვირთავები ნარდათ მუშაობენ და არა დღიურათ და მაშასადამე, თუ ისინი ასე ცოტას მუშაობენ, ამის მიზეზი ტეხნიკური და სხვა დაბრკოლებებია, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ მუშებს უკეთესი ორგანიზაციით, შეუძლიათ იმ დროს განმავლობაში დატვირთონ ბევრად უფრო მეტი. პროფესიონალურ კავშირმა საქმის ამ მხარეს სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს. მოლაპარაკების შემდეგ მხარეებმა მიიღეს ახალი დადგენილება სამუშაო ფასის შესახებ, სახელდობრ, ა) ვაგონების საწყობებში დაცლისა და საწყობებიდან ვაგონის დატვირთვა 7 საჟენის მანძილზე—40 მანეთი; ბ) „მოლიდან“ გემების და პირველი და მეორე ლიანდაგზე მდგომ ვაგონების დატვირთვა—47 მანეთი 50 კაპ: თითო ვაგონში; გ) მეორე ლიანდაგის იქით მყოფ საწყობიდან 7 საჟენის მანძილზე, ვაგონის დატვირთვაში—62 მანეთი 50 კაპ. ფასები დაწესებულია 750 ფუთიან ვაგონზე. ხელშეკრულობა დაიდო სამი თვის ვადით. გერმანიის ფირმების მხრივ ხელშეკრულობას ხელი მოაწერა გერმანიის სამხედრო უწყების წარმომადგენელმა.

ამ ნაირათ, უთანხმოება მოისპო, მაგრამ აბანოს საკითხმა შეიძლება გამოიწვიოს ახალი უთანხმოება. საქმე იმაშია, რომ მუშაობა მოითხოვს ყოველ დღე ბანაობას; მუშები კი აბანოთი დღესაც არ სარგებლობენ, მიუხედავათ იმისა, რომ მწარმოებელნი ვალდებულნი არიან მათ უფასოთ მისცენ აბანო და აგრეთვე აღმოუჩინონ საექიმო დახმარება. ეხლა სადგურზე—მატარებელი აბანო არის; აუცილებელია განსაზღვრულ დრომდე მუშებს ნება მისცენ ამ აბანოთი სარგებლობის მანამდე კი შეიძლება, როგორც თვით მუშები თხოულობენ შეაკეთონ აბანო, რომელიც იქვე არის.

(შემდეგი იქნება).

## გვარდიელთა შორის

**ერთობის-უბანი.** 26 აგვისტოს მოხდა ერთობის უბნის და ჩულურეთის საალხო გვარდიელთა საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო 63 წევრი.

განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: მოხსენება მთავარი შტაბიდან გვარდიელების ფრონტზე გაგზავნის შესახებ; შტაბის წევრების არჩევა; ლოთობა გვარდიელთა შორის და უბანში ღვინით ვაჭრობის შესახებ.

მთავარი შტაბიდან მოხსენება გააკეთა ამხ. კახიანმა, მოხსენების შემდეგ, რომელიც ერთხმათ იქნა მიღებული, იქვე ჩაეწერა 25 გვარდიელი რიგ გარეშე ფრონტზე წასასვლელათ. შტაბის წევრებათ აირჩიეს პ. გაჩეჩილაძე, კ. კოპალეიშვილი, კ. თალაკვაძე, ვ. გოგიაშვილი, გ. ახალშედაშვილი, ნ. უსტიაშვილი, ი. კალანდაძე, ნ. ზურაბიშვილი და ვ. იაშვილი. მათ კანდიდატებათ კ. მესხი, მ. მაისურაძე და ვ. ფერაძე. გვარდიელთა შორის ლოთობის შესახებ კრება ადგენს: ლოთობაში შემჩნეულ გვარდიელს ჩამოერთვას იარაღი და გაიგზავნოს მთავარ შტაბში სასჯელის დასადებათ.

რადგანაც ყველა წვრილი მოვაჭრენი ვაჭრობენ ღვინითაც, სადაც ძლიერ ხშირათ იწვევიან ქეიფს და აურ-ზაურს იწვევენ მთელს უბანში, გვარდიელთა კრებამ დაავალა ახალ არჩეულთ შტაბის წევრებს მიიღონ ყოველივე ზომები მათ წინაამდეგ. აღიძრას შუამდგომლობა ღვინით ვაჭრობის აღკრძალვის შესახებ. სამაგიეროთ გაიხსნას უბანში რომელიმე ფირმის განყოფილება სადაც გაჰყიდიან ღვინოს ბოთლობით მხოლოდ სახლში წასაღებათ. იმედია ახალ არჩეულები ყოველივე ზომას მიიღებენ საზოგადო კრების დადგენილების სისრულეში მოსაყვანათ და კულტურულ მუშაობასაც განაახლებენ უბანში.

კლემანსო.

**საჩხერე.** ორი თვის შემდეგ საჩხერეში მომქმედი გურიის საგანგებო რაზმი 25 აგვისტოს საღამოთი გამოვიდა. დილით გაიმართა რაზმის საგანგებო კრება. რაზმმა დაადგინა, რომ ცოტა დასვენების შემდეგ მზათ იქნება პირველ დაძახებისთანავე გამოვიდეს. კრებამ განიხილა აგრეთვე რაზმის ზოგიერთი წევრების ცუდი საქციელი და დაადგინა ამ პირების მოქმედება აღინიშნოს პრესაში და ისინი არ გადაეცეს სასამართლოს.

ფერმალმა ვ. ხონელიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა პოზიციებზე ყოფნა და დაჭრილ მეომართა მოვლა, ეს მოვალეობა არ აასრულა, მიატოვა პოზიცია და ჩაიდინა დასაგმობი საქმე. კრებამ ხონელიას შესახებ შესაფერი დადგენილება გამოიტანა.

ნიკ. იმნაიშვილისა და ალ. ფირცხალაიშვილის მოქმედება კრებამ აღიარა დეზორგანიზატორულათ, რომლებიც ხელს უწყობდენ თავიანთი საქციელით რაზმში არევ-დარევის შეტანას.

კრებამ გაჰკიცხა გ. რამინაიშვილის, მიხ. სარჯველაძის და თ. რუსიძის მოქმედება, რომლებმაც რაზმი მიატოვეს ბრძოლის დროს და სოლომონ გოთუა თავისი ცუდი საქციელისთვის.

რაზმის ხელმძღვანელი ბიურო.

## მუშათა შორის

**პარიკმახერთა შორის.** მუშა, რომელიც პატივსა სცემს თავის პიროვნებას, შეგნებული მუშებს არ შეუძლია შეურიგდეს ისეთ სამუშაო წესს, რომლითაც ილახება მისი თავმოყვარეობა. ასეთ სამუშაო წესს ურიგდებიან თფილისის პარიკმახერი მუშები. ხსენებულ დარგის მუშათა უმრავლესობას თითქოს დაუკარგავთ ყოველგვარი თავმოყვარეობა. მათთვის არ არსებობს პირადი „მე“. ისინი ასე მსჯელობენ: ფული ავიღო და რა გზით ავიღებ, ეს სულ ერთიაო.

მე მოგახსენებთ ე. წ. საჩუქრებზე. მკითხველს გაუკვირდება და იტყვის ნუ თუ ეს მუშები იმდენით ჩამორჩენილი არიან, რომ ვერ მოუსპიათ ეს სამარცხვინო ჩვეულებაო!

დიახ, სამწუხაროთ, ჩამორჩენილი არიან. განუვითარებლობა,—აი რა არის მიზეზი ხსენებული დარგის მუშები რომ ვერ გამოეთხოვენ ხელის გაწვდას.

განუვითარებლობას, გონებრივ სიბნელეს თან სდევს ზნეობრივი სიმდაბლე. მუშებს, რომელთაც არა აქვთ არავითარი განვითარება, ვერ წარმოუდგენიათ —რა არის ზნეობრივი დაქვეითება.

არავინ იფიქროს, თითქო პარიკმახერთა შორის იყოს ისეთი სამუშაო ხელფასი, როგორც იყო წინათ ხელზე მოსამსახურეთა შორის.

როგორც ვიცით, ხელზე მოსამსახურეები მარტო საჩუქრებით ცხოვრობდენ. პარიკმახერი მუშები კი, იღებენ განსაზღვრულ ჯამაგირს, ჯამაგირთან ერთად იღებენ თავიანთ ნამუშევრიდან 20 პროცენტს. გარდა ამისა კიდევ იღებენ საჩუქრებს!

არიან ისეთებიც, რომლებიც სხვა პირობებში მუშაობენ, მარა ამაზე შემდეგ.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ერთ-ერთ „ხაზეინს“ წარუდგინა მუშებმა მოთხოვნილება. „ხაზეინმა“ არ დააკმაყოფილა. გამოცხადდა გაფიცვა, საქმე გადაეცა ცენტრალურ მომრიგებელ კამერას. მე აქ არ შევუდგები იმის ძიებას, რამდენათ სამართლიანი და ორგანიზაციული იყო გაფიცვა, ვიტყვი მხოლოდ შემდეგს:

გაფიცვამდე „ხაზეინმა“ მუშებს მისცა ასეთი წინადადება—მოგცემთ თვეში 800 მანეთს ჯამაგირს, მხოლოდ მოსპეთ საჩუქრებიო.

მუშებმა უარჰყეს ეს. რომ დაკმაყოფილებულიყო მოთხოვნილება, თითოეულ მუშას თვეში შეხვდებოდა არა უმეტეს 615—620 მანეთისა.

„ხაზეინები“ მუშებს აძლევენ წინადადებას—მოსპეთ საჩუქრებიო! განა ამაზე მეტი სირცხვილი შეიძლება?!

კამერის თავმჯდომარე ეკითხება მუშებს: თინახმა ხართ, თუ არა მიიღოთ 800 მანეთი თვიური ჯამაგირი და უარჰყოთ საჩუქრებიო? არაო—უპასუხებენ მუშები!

„ხაზეინი“ კი აცხადებს: ეხლა თუგინდ კიდეც დამთანხმდენ 800 მანეთზე—მე წინააღმდეგი ვარ, რომ მივსცეო, მსურს ლიკვიდაცია მოვახდინოვო. არ ვიცით რას გადასწყვეტს კამერა. ყოველ შემთხვევაში, ზნეობრივათ დამარცხდენ მუშები.

რიხხვა.

**ფოთის სადგური.** ფოთის სადგურის მუშებს და მოსამსახურეებს სხვა დაწესებულებასთან ერთად აქვთ სასურსათო მაღაზია, რომელსაც ორი თვე გადის, რაც შაქრის და სხვა ორიოდე თავი საქონლის გარდა არა გაეჩნიარა. სასურსათო კომიტეტის ფულები, რომელიც აღემატება 40 ათას მანეთს, ამ სამი თვის განმავლობაში ტყუილად ხალხის უსარგებლოთ არის გაცდენილი. ამ ფულით შეეძლოთ თავის დროზე სურსათი ხელსაყრელ ფასებში შეეძინათ და მუშა-მოსამსახურეები მშიერნი, ხელ გაშვერილნი ქუჩა ქუჩა არ ივლიდენ.

თავის დროზე ზომები იყო მიღებული. ჩააბარეს სანდო კაცს სასურსათო საქმე. მან გაატანეს ფულებიც სურსათის შესაძენათ. მას შემდეგ გადის სამი თვე, სურსათზე არც ავი, არც კარგი აღმასრულებელ კომიტეტისთვის არ შეუტყობინებია. საჭიროა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღოს ზომები და მოაწესრიგოს საქმე.

ვ. ი.

## პროვინცია

**აბაშა** (სამეგრელო). 1 სექტემბერი ისტორიული დღეა აბაშის რაიონის დემოკრატიისათვის. ამ დღეს მოხდარ მთელი რაიონის რევოლიუციონურ ორგანიზაციათა—გლ. საბჭოების, აღმ. კომიტეტების, ოცის თავების, საადგილმამულო კომ. წარმომადგენლების ყრილობაზე მან ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ იგი ერთგული დამცველია რევოლიუციონურ იდეების. აბაშას ასეთი დინჯი, ჭკვიანი და საქმიანი და მრავალრიცხოვანი რაიონული ყრილობა არ ახსოვს რევოლიუციის პირველ დღეების შემდეგ. მაშინდელ და ახლანდელ დელეგატებს ერთნაირი ერთსულოვნობა, აღტაცება და დაკვირვება ახასიათებდა. ეტყობა ანარქიის ქარტეხილს გამოუფხიზლებიათ ამ მოწინავე რაიონის სოფლის მუშები. რევოლიუციის პირველ დღეებში აქ ხარობდენ ნიკოლოზის მთავრობის დამხობას; ახლა ხარობდენ ბოლშევიკურ ანარქიის ჩაქრობას. ჩამოსულია 600-მდის დელეგატები. ისინი კრების გახსნამდის შეჯგუფულად დადიან. ლაპარაკობენ მიმდინარე კითხვებზე. მოლაპარაკენი თვით სოფლის მუშებია.—იკურთხოს ჩვენი მეთაურების ჭკუა გონება, რომ ისინი არ ყოფილიყვნენ, ჩვენ დღეს თათრების ხელში ვიქნებოდით, ჩვენი ოჯახები აწიოკებული იქნებოდა, იქნებ ბევრი ჩვენგანი ცოცხალიც არ ყოფილიყო,—ამბობენ ერთ ალაგას: ყველანი კმაყოფილებით უმოწმებენ მოლაპარაკეს. მეორე ალაგას ლაპარაკია ბოლშევიკებზე. აბაშის რაიონის მშრომელი გლეხობა ყოველთვის აღმაცრად უყურებდა რევოლიუციის ამ მესაფლავეებს. დღეს ამათი ხსენება ზიზღს იწვევს ყველაში, სახე ელუშება ყველას ბოლშევიკების ხსენებაზე. ამ დაკვირვებულ ნაწილს ცოტა დარცხვენით უმოწმებენ მოახალგაზრდონიც,—ესენი ყოფილი ჯარისკაცებია. უწინ ისინი ბოლშევიკობდენ, მაგრამ დღეს დარწმუნდენ, რომ ბოლშევიკები საქმის ხალხი არაა, რომ მათ მხოლოდ ნგრევა და შეუძლიათ და შენების უნარი არც აქვთ, არც ექნებათ. დღეს ესენი არ ბოლშევიკობენ, ისევ ნაცად რევოლიუც გზით მიდიან. მესამე ალაგას ლაპარაკია სამეგრ. ანარქიაზე. ამბობენ: სამუდამოთ შეგვარცხვინეს გორდის, ნარაზენის, კინჩხას, აბედათის და სხვა ზუგდიდის მაზრის სოფლების ნაძირალებმა; საქმე ისე გაამწვავეს, რომ მეგრელის სახელწოდება სასირცხო გაგვიხადესო. დელეგატები დაბარებული იყვნენ დილის 10 ს. ამ დროს მართლაც ყველანი აქ იყვნენ. მათ აღფრთოვანებულ ჩამოსვლას ისიც უწყობდა ხელს, რომ ამ დღისთვის ველოდით ირ. წერეთელს. როგორც გავიგეთ, ირ. ავათ გამხდარიყო და ვერ გვეწვია. როცა ეს გაიგეს, დელეგატები ნაწყენი დარჩნენ. კრებას დაესწრო ძველი მუშაკი მუხრან ხოჭოლავა. ის სულ სამი დღის ჩამოსული იყო რუსეთიდან. დღის ორ საათზე აბაშის სოც.-დემ. კლუბში ამხ. ბარნაბ ძველაია ხსნის ყრილობას. თავმჯდომარეთ ირჩევენ ამხ. მუხრან ხოჭოლავას. თავმჯდომარე გრძნობიერ სიტყვით მიმართავს ყრილობას და სიხარულს გამოსთქვამს, რომ რევოლიუციის ზოგი მონაპოვარი მაინც შეინარჩუნა ჩვენმა დემოკრატიამ.

მდივანი ა. მახარაძე კითხულობს დღის წესრიგს. მომენტის შესახებ მოხსენება ირ. წერეთელს უნდა გაეკეთებინა. ამხ. ვასო გადილიას წინადადებით, ამ კითხვასთან დაკავშირებით მოხსენება უნდა გაეკეთებინა რუსეთის შესახებ ამხ. მ. ხოჭოლავას, რაც მან შეასრულა და ბევრი საინტერესო ცნობები გადასცა ყრილობას. ყრილობის განსარჩევი მთავარი კითხვა იყო მიწის საკითხი. ამ საკითხზე მოკლე მოხსენებას აკეთებს ა. ანჯაფარიძე. ის აცნობს ყრილობას, თუ რამდენი დესიატინა მიწა იქნა ჩამორთმეული მემამულეებზე მთელ მაზრაში. როგორი ყოფილა საადგილ მამულო კომიტეტის მუშაობა და როგორი გეგმა აქვს მას მომავალში. მთავრობას უნდაო, ამბობს ის, გამოსცეს კანონი მიწების განაწილების შესახებ და მას აინტერესებს ამ კითხვაზე თვით მიწის მუშების შეხედულება. თქვენმა ყრილობამ ამის შესახებ უნდა გამოსთქვას თავისი აზრიო. ყრილობას ეცნობა, თუ როგორი შეხედულებანი არსებობენ განაწილების შესახებ (გამოსყიდვა მემამულეებიდან, მიწების გადასვლა ადგ. თვითმართველობის ხელში და მისგან იჯარით აღება, ხელ მისაწვდომ ფასებში გამოსყიდვა დემ. მთავრობის ხაზინის სასარგებლოთ მიწის კერძო საკუთრებათ გადასვლა და მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობა). თუ რომელი პარტია რომელ შეხედულებას იცავდა, ეს არ იყო თქმული, რომ ამას არ შეებოჭა ყრილობის აზროვნება. ყრილობას უთხრეს: აი ფორმები და რომელიც გინდათ, გაარჩიეთ და ამოირჩიეთო. არც ერთ ფორმის უარყოფით თუ დადებით მხარეებს არ შეეხებიან. თვით სოფლის მუშებმა აიღეს ამაზე სიტყვები და გაარჩიეს ისინი. ყოველი სიტყვა, მათ მიერ ამ ყრილობაზე თქმული, საქმეს ეხებოდა, ზედმეტ ლაპარაკს აქ ადგილი არ ჰქონია. ორატორ მუშებმა თავიდანვე დაგმეს მემამულეთაგან მიწის შესყიდვა და მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობა. ამათ საწინააღმდეგოთ მოიყვანეს მრავალი პრაქტიკული საბუთები. არც ერთ მუშას არ უკისრია ამ ფორმების დაცვა. ყრილობაზე იცავდენ ორ ფორმას: მიწების კერძო საკუთრებათ გადასვლას დემოკრატიულ რესპ. ხაზინიდან გამოსყიდვით და მიწების ადგ. თვითმართველობის ხელში გადასვლას, შემდეგ იჯარით აღებას (მუნიციპალიზაცია). ყრილობას ეცნობა ჩვენი ფრაქციის აზრი, რომ ს. დ. პროგრამმა არც ერთ ამ ფორმათაგანს არ უარყოფსო. ამის შემდეგ მოხდა შეთანხმება და ყრილობამ ერთხმად დაადგინა მიწების კერძო საკუთრებათ გადასვლა მუშების ხელში. აგრეთვე სახელმწიფოებრივის თვალსაზრისით იქნა განხილული გამოსყიდვის საკითხი. მოლაპარაკენი ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ ჩვენი დემ. რესპ. ხაზინა ცუდ მდგომარეობაშია და მიწების უსასყიდლოთ დანაწილება უფრო დააზარალებს მასო. ერთხმად იქნა დადგენილი, რომ მიწები ხელმისაწვდომ ფასებში და ფორმებში იქნას დარიგებული. ნორმა წყდება ოჯახის მოთხოვნილების მიხედვით. ყრილობა ტაშის ცემით ხვდება ამ დადგენილებას. დანარჩენ კითხვებს არ შეხებია. ყრილობა გაგრძელდა სად. 7 საათამდე.

საღამოს 7 ს. მწყობრად და კმაყოფილად დაიშალა ეს ყრილობა იმ დაპირებით, რომ სოფლად ხელს შეუწყობდენ აქ გატარებულ დადგენილების გატარებას.

ა. ფანცელი.

## წერილი რედ. მიმართ

„ერთობის“ მე 184 ე ნომერში ვინმე ხაზინის მოხელე ეხება თფილისის ხაზინის ცხოვრებას და სხვათა შორის ამბობს: კასირი ლაშკო, როდესაც კარგათ მოიხვა გული ქოთამების აღებით, გაიქცა, რომელსაც ხელი შეუწყო სახაზინო პალატის მმართველის მოხერხებულობამ. რომელ დღესაც მისცა რაპორტი სამსახურიდან განთავისუფლებისა ლაშკომ, იმავე დღეს გაანთავისუფლა მმართველმა თავის ბრძანებით ხაზინის შეუკითხავათ, აქვს რამე ხაზინას დამაბრკოლებელი მიზეზი მის დათხოვნაზე თუ არა“.

რადგან პალატის მმართველი ამ ხანათ აქ არ იმყოფება და მიღებული ცნობებით ის ავათმყოფობის გამო რამდენიმე დღეს თფილისში ვერ დაბრუნდება, ამისათვის მოვალეთ ვთვლი მოკლეთ აღვნიშნო აქ საქმის ნამდვილი ვითარება.

საქართველოს თავისუფალ სახელმწიფოთ გამოცხადების შემდეგ ბევრმა რუსის მოხელემ გადასწყვიტა თავის სამშობლოში დაბრუნება; უმეტეს ნაწილათ მათ საჩქაროთ უხდებოდათ საქართველოდან გამგზავრება; ხშირად სრულიად მოულოდნელათ უხერხდებოდათ მათ პირველი ტრანსპორტით წასვლა რიგს გარეშე და ასეთ შემთხვევებში პალატა სხვადასხვა მოსაზრების გამო იძულებული იყო ყოველივე ღონე ეხმარა, რომ მათი წასვლა არ დაებრკოლებია.

ამნაირსავე გარემოებაში მოხდა ლაშკოს სამსახურიდან დათხოვა; როგორც ხაზინადარის, აგრეთვე ხაზინის მოხელეთა კომიტეტის შეხედულობით, რომლის წევრათაც იყო ის, მოხელეთაგან არჩეული კასირი ლაშკო საუკეთესო მოხელეთ ითვლებოდა; წინათ ის არავითარ ცუდ მოქმედებაში არ ყოფილა შემჩნეული; ამის გამო, როდესაც მან სამსახურიდან დათხოვნის სურვილი განაცხადა, პალატას ეჭვი არ აღძვრია ცუდი განზრახვის შესახებ და მმართველმა განკარგულება მოახდინა მისი სამსახურიდან დათხოვნის შესახებ 16 ივლისიდან, რაც იმავე დღეს ეცნო თფილისის ხაზინას.

თავის შენიშვნაში ხაზინის მოხელე სწერს, რომ რა დღესაც ლაშკომ განცხადება შეიტანა, ის იმავე დღეს განთავისუფლა მმართველმა სამსახურიდან ხაზინის დაუკითხავათ.

როგორც სჩანს, ავტორს ამით სურდა ეთქვა, რომ თუ მმართველს იმავე დღეს არ გაენთავისუფლებია ლაშკო სამსახურიდან და ან ამის შესახებ ხაზინას შეეკითხებოდა, იმ შემთხვევაში კასირი ლაშკო გაქცევას ვერ მოახერხებდაო. ეს სრულებით სიმართლეს არ შეეფერება. პალატის საქმეში ინახება საბუთები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ლაშკოს განცხადება მიიღო პალატამ 13 ივლისს და დოკუმენტები დაუბრუნა მას იმავე დღეს კი არა, როგორც შენიშვნაშია ნახსენები, არამედ 16 ივლის, ე. ი. მე-4 დღეს; გარდა ამისა, როცა ხაზინა რაიმე ცნობებს ღებულობს ამა თუ იმ მოხელის მავნე მოქმედების შესახებ, ის დაუყოვნებლივ აცნობებს ხოლმე პალატის მმართველს; ასევე მოიქცეოდა თფილისის ხაზინა ლაშკოს შესახებაც, რაიმე ცნობები რომ ჰქონებოდა მის შესახებ, მაგრამ რადგან ხაზინას პალატის მმართველისათვის ასეთი მოხსენება არ წარუდგენია, უნდა ვიფიქროთ, მას ეს ცნობები არ ჰქონებია; ამ შემთხვევაში კი, შეჰკითხებოდა მმართველი ხაზინას თუ არა, შედეგი ერთი და იგივე იქნებოდა.

ამ ნაირათ, აშკარაა, რომ კასირი ლაშკოს გაქცევას პალატის მმართველის განკარგულებასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს; მმართველს თუნდაც შეესრულებია ფორმალური მხარე და ხაზინას შეჰკითხებოდა, ამას მეტი დრო არ დასჭირდებოდა, რაც ნამდვილად მოანდომა პალატამ, ხაზინა კი უქონლობის გამო ვერაფერ დამაბრკოლებელ მიზეზს ვერ წარუდგენდა მმართველს, უამისოთ კი საბუთი არ იყო ლაშკოსთვის წასვლა აეკრძალა ან შეეჩერებია. ეს ყველაფერი კარგათ უნდა იცოდეს ხაზინის მოხელემ და მიუხედავათ ამისა, თუ იმას მაინც ნება მიუცია თავის თავისთვის ასეთი ცილის წამებისა, უნდა ვიფიქროთ, რომ მას საქმისადმი გულშემატკივრობა კი არ ამოქმედებდა, არამედ ვინმეს ტალახში გასვრა და შეურაცყოფა.

თავის თავათ ცხადია, რომ შეგნებული მკითხველის თვალში ეს შენიშვნა ავტორისაგან დასახულ მიზანს ვერ მიაღწევს და მის მაგივრად, რომ ჩირქი მოსცხოს სახაზინო პალატის მმართველს, უფრო ავტორის ვინაობას გამოარკვევს.

არსებული ხმები თფილისის ხაზინაში გამეფებულ უწესრიგობის შესახებ სასტიკი გამოძიებით გამოირკვევა და ვინ იცის, ამ გამოძიებამ ბოროტი დამნაშავე ისეთ ჯგუფშიაც აღმოაჩინოს, რომელიც ბევრსა ყვირის და სხვაზე უთითებს.

სახაზინო პალატის მდივნის თანამდ. აღმასრულებელი მ. ფანჩულიძე.

## ცნობები

ჯარისკაცი სიმონ ლევარსის ძე მახარაძე მსახურებდა ოზურგეთში. ივნისში ამა წლისა გაგზავნეს ბორჯომში. მას მერმე გადის სამი თვე და მისმა მშობლებმა არ იციან, სად იმყოფება. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: სადგური ნიგოითი, ს. ზომლეთი, ლევარსი მახარაძეს.


ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი
იღებს ქალების და ქირურგიულ სნეულებით ავათმყოფებს [illegible] საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღას ქუჩა, 41. ტელ. № 9-63. (24—16)

ექიმი ა. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; აფთიაქის ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77.

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი
(მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოეიძის აფთიაქის გვერდით.

ქალ. ქუთაისში
(მიხეილის ქუჩაზე, წითელ ხიდთან)
ქირურგიული და ქალთა სნეულების საავათმყოფო სამშობიარო განყოფილებით.
დასაწოლ ავათმყოფს იღებენ ყოველ დროს. (24—24)

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—65.

ექიმი დ. ჯავახიშვილი
მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს. ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
ექიმი დონხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

სამკურნალო კაბინეთი
ექიმ ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეზაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნ-ტისა
მ. გოლდშტეინი
ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი ჰოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა
თვალის ავათმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 12—2 საათამდე და 4—8 საათამდე. ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ექიმი ი. ზ. კონიევი.
იღებს შინაგან სნეულებით ავათმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდისუბნის ქ. № 3. (24—24)

ექიმი ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლათ.

ექ. ქალი რ. ბ. შიშლო-ხაბაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 14—74


სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის“ რედაქციის გვერდით, გოლოვინის პრ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ტელეფონი № 16—62.

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.